ყოველდღიური გაზეთი ფასი 10 კაპ. სამშაბათი, 1917 წ. მკათათვის 18 (31)

# საქართველო

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისი, მოსკოვის ქუჩა № 4. ტელეფონი 15—73
წერილების ადრესი: Тифлисъ, ред. газ. „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

№ 155 ყოველდღიური გაზეთი ეროვნულ-დემოკრატიულ მიმართულებისა № 155

## გაზეთის შინაარსი


### საგულისხმო ცნობები

პეტროგრადში ხმები დადის, ლენინი საზღვარ გარედ გაიქცაო.

რუსეთში სასტიკი სამხედრო ცენზურა შემოიღეს.

რუსეთის საზღვრები დაიკეტა, არც წასვლა და მოსვლა აღარ შეიძლება.

მთავრობამ დაადგინა მემკვიდრეობის უფლებანი რუდონ.

პეტროგრადის „ჯანყების დროს მოკლული ყაზები დიდის ამბით დამარხეს. კერენსკიმ მგლოვიარე სიტყვა წარმოსთქვა.

ბელორუსებმა თავიანთი „რადა“ შეადგინეს.

ურკენში დიდი არეულობა დაიწყო. ურკენელებს „პულემიოტები“ ჰქონიათ.

გალიციაში გერმანელთა შემოტევა გრძელდება.

რუმინეთში რუს-რუმინელთა ჯარი წინ იწევს.

საფრანგეთში შამპანის ველზე გერმანელების სასტიკი იერიშებია. საფრანგეთში კონსტიტუციის გადასინჯვას მოითხოვენ.

პარიზში გერმანელთა პაეროპლანები გამოჩნდნენ.

ჰოლანდიაში ინგლისი ავსტრო გერმანელთან საზღვრების დაწყებს საზავო მოლაპარაკებასო.

### წერილები

მეთაური. ქიზიყის განსაცდელი.

რ. გაბაშვილი. „სახალხო საქმე“.

ფრანგული პრესა. პარიზელ ქართველთა ხმა.

დ. ვედრგიბელი. ჩემი დღიური.

ზ. რუსეთი და ევროპა.

დ. ლუკაშვილი. წერილი „თელავის ამბების გამო“.



...ლკოვნიკი ვასილ ივანეს ძე, კნ. სოფიო ივანეს ასული, ნინო ...არიას ასული, მარიამ, ელისაბედ, თამარ, ივანე და შალვა ...ვლენიშვილები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ...ცნობთ, პირველნი ორნი—ძვირფას და დაუვიწყარ შვილის, მეორე —ძვირფასი ქმრის და დანარჩენნი—ძვირფასი ძმის

...ესამე მფრინავი რაზმის პოდპორუჩიკის თავად

ალექსანდრე ვასილის ძის

ფავლენიშვილის

ტრაგიკულად დაღუპვას.

პანაშვიდი ქაშვეთის ეკლესიაში სამშაბათს, ივლისის 18, სა...მოს შვიდ საათზედ. (ახალის დროით). მიცვალებულის სადგური...ან გადმოსვენება და დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადე...ლი.

1—710—1

...ინა მარიამ სოლომონის ასული ხიმშიაშვილისა შვილებით, ...ით და სიძით, გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ...ნობთ, რომ ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ დ. ბორჯომში ...დაიცვალა საყვარელი და დაუვიწყარი მამა—არტილერიის გენერალი

თ. გიორგი სპირიდონის ძე

ხიმშიაშვილი

...პანაშვიდები ბორჯომში; დასაფლავება მოხდება თბილისში, ...კა საგანგებოდ გამოცხადდება.

1—711—1

...ინა მარიამ მიხეილის ასული და თავადი ირაკლი გიორგის ძე ...რეჯიბები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, მათის პირველი შვილის, ნაზად საყვარელ

ნათიას

გარდაცვალებას.

დაკრძალვა მოხდება სამშაბათს, 18 ივლისს ქ. გორში, სამების ...ესიის გალავანში.

1—703—1

...ინა სოფიო ნიკოლოზის ასული და თავადი გიორგი დარისპანის ძე ...რეჯიბი შვილებით, მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მათი ძვირფასი შვილიშვილის ნაზად საყვარელ

ნათიას

გარდაცვალებას.

...კრძალვა მოხდება სამშაბათს, 18 ივლისს, ქ. გორში სამების ეკ...სიის გალავანში.

1—703—1


# ქართველნო მოქალაქენო!

## მიეცით ხმა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის საარჩევნო სიას!

# № 2.

---

## საქართველოს ეროვნულ-დემ. პარტიის თბილისის ქალაქის ხმოსანთა კანდიდატების სია.

1. **ჟურული** გიორგი დურმიშხანისძე—ქალაქის ხმოსანი. ქალაქის საბჭოს წევრი.
2. **გვაზავა** გიორგი ბეჟანის ძე—ნაფიცი ვექილი.
3. **კედია** სპირიდონ მელხისის ძე—პუბლიცისტი.
4. **კიკნაძე** გერონტი დიმიტრის ძე—პუბლიცისტი.
5. **ვეშაპიძე (ვეშაპელი)** გრიგოლ გიორგის ძე—გაზეთ „საქართველოს“ რედაქტორი.
6. **მაჩაბელიანი** იოსებ კონსტანტინეს ძე—ნაფიცი ვექილი.
7. **ლორთქიფანიძე** იასონ მერაბის ძე—ამიერ-კავკასიის ბანკის გამგე.
8. **გოთუა** პართენ ალექსანდრეს ძე—სამეურნეო ბანკის დირექტორი.
9. **ვაჩნაძე** დავით ვლადიმერის ძე—ჟურნალისტი, კოოპერატორი.
10. **ივანიცკი** რაფაელი ალექსანდრეს ძე—(რ. ინგილო) სამართლის კანდიდატი.
11. **ბერელაშვილი** ვასილ გერასიმეს ძე—კომერსანტი.
12. **ასათიანი** ალექსანდრე სამსონის ძე—ჟურნალისტი, ნაფიცი ვექილის თანაშემწე.
13. **წვერავა** ნიკოლოზ ესტატეს ძე—ხმოსანი ქ. თბილისის.
14. **ქურდიანი** გიორგი ზაქარიას ძე—ინჟინერი.
15. **თაყაიშვილი** ექვთიმე სიმონის ძე—ისტორიკოსი, თავმჯდომარე საქ. საეთნოგრაფიო საისტორიო საზოგადოებისა.
16. **ელიაშვილი** ივანე სპირიდონის ძე—ექიმი.
17. **მამრაძე** პეტრე გრიგოლის ძე—ინჟინერ-ტეხნოლოგი.
18. **ჯავახიშვილი** დიმიტრი ვასილის ძე—ექიმი.
19. **გაგაშვილი** ლეონიდე ალექსანდრეს ძე—კოოპერატორი, ჟურნალისტი.
20. **თუმანიშვილი** პავლე იოსების ძე—ნაფიცი ვექილი.
21. **მაჭავარიანი** გიორგი ლუარსაბის ძე—ნოტარიუსი.
22. **ერისთავი** დომინიკა ზურაბის ასული—(განდეგილი)—მწერალი.
23. **ჩიჯავაძე** თამარა დავითის ასული—მასწავლებელი.
24. **დუმბაძე** დიმიტრი მოსეს ძე—პედაგოგი.
25. **გუნცაძე** ირაკლი ალექსანდრეს ძე—ნაფიცი ვექილი.
26. **ქვარიანი** სიმონ ალექსის ძე—აგრონომი.
27. **ლალიძე** მიტროფანე ერმოლაის ძე—მრეწველი.
28. **გაგუნია** სილოვან გრიგოლის ძე—ნაფიცი ვექილი.
29. **კახიძე** ვასილი ბესარიონის ძე—ხარჯთა კრეფის ინსპექტორი.
30. **გველესიანი** იოსებ იოსების ძე—კომერსანტი.
31. **მერკვილაძე** იოსებ ნიკოს ძე—„თბილისის წვრილ ვაჭართა საზოგადოების თავმჯდომარე“.
32. **თიკანაძე** ივანე ელიშუხის ძე—ექიმი.
33. **მაღალაშვილი** ივანე გრიგოლის ძე—ნაფიცი ვექილი.
34. **ვაჩნაძე** ლევან ალექსანდრეს ძე—ხმოსანი (ქალაქის)
35. **მერკვილაძე** ნოშრევან ნიკოლოზის ძე—ხელოსანი.
36. **ბერძნიშვილი** ივანე სიმონის ძე—ხელოსანი.
37. **ივანიცკი** ვახტანგ აპოლონის ძე—მთის ინჟინერი.
38. **ხახუტაშვილი** ნიკოლოზ ანტონის ძე—ვაჭარი.
39. **ბარატაშვილი**[?] ვასილი ავთანდილის ძე—ბუღალტერი.
40. **ჭყონია** სეონ შერვანდინის ძე—კომერსანტი.

### თბილისი, მკათათვის 18.

## ქიზიყის განსაცდელი

ქიზიყის ბუნების სიტურფეს, ჰავის კეთილ შეზავებულებას და ხალხის იშვიათს გამრჯელობას თან სდევს ერთი ნაკლი, რომელიც, რაც დრო გადის, თან და თან უფრო მეტად აბრკოლებს ხალხის ნივთიერად მოღონიერებას და სამეურნეო წარმატებას.

ეს ნაკლი—მოსარწყავ არხების უქონლობაა

ძველად ყოფილა მშვენივრად მოწყობილი არხები, ალაზნიდან გამოყვანილი, მაგრამ ოთხმოცი წლის წინათ ის არხები ამოუსილავს, და მონარქიულ წეს-წყობილების უზრუნველობის წყალობით აღარავის აღარ შეუცხელებია თავი მათ შესაკეთებლათ და ისინი სულ დამშრალან.

ამ თორმეტიოდე წლის წინათ მიწის მოურწყველობისაგან შეწუხებულმა ქიზიყმა მორიგ საკითხათ წამოაყენა და სასოფლო ყრილობებზე კანონიერი განჩინებები დაადგინა, რომ ძველი არხები აღგენილ ყოფილიყვნენ რაც შეიძლება დაუყოვნებლივ.

ნივთიერი წყაროც ნაჩვენები ჰქონდა ხალხს ამ კარგისა და საქმიანის განზრახვის ასასრულებლათ, და ის წყარო იყო არა ხაზინა, ანუ ხაზინისაგან გამოსათხოვნი სამელიორაციო სესხი, ჟრომლისოთ რუსის ხალხი თითქმის ბეჯსაც არა სდგამდა, არამედ სასოფლო-სამეურნეო თანხა, თვით ჩვენი ხალხის ჯიბიდან გადებულ ფულით შემდგარი, რომლის პირდაპირი დანიშნულება იყო და არის—მოსარწყავ არხების გაყვანა, მიწების და სხვ. შეძენა და გაუმჯობესება.

მაგრამ ძველი რეჟიმის ცხოვრებასთან შეუფერებლობამ აქაც იჩინა თავი და ქიზიყელების ცდამ, რათა თავის საკუთარი ფულით, თავის მიწებზე, თავის საკუთარ შღ-ნარიდან მოსარწყავი ძველი არხები აღედგინათ,—ვერაფერი ჩაიარა.

დღესაც ქიზიყელი ოცნებობს არხზე, მისი ფული, საამისოთ მოგროვილი ხაზინაში დევს, ალაზანი ძველებურათ მდინარებს, ხოლო ამოსილული არხები ისევ ისე ამოსილულია და ძველებურათ ველარ რწყავს პირნახულს ქიზიყის ყანებსა და ბოსტნებს.

არეშის მაზრის მცხოვრებლებმ (განჯის გუბერნიაში) ამით მოუსვენებიათ ისარგებლონ და საჭირო თავდარიგს შესდგომიან ალაზნიდან გაიყვანონ ახალი არხები თავიანთ მიწების მოსარწყავათ.

ამ საგანზე მე მქონდა ლაპარაკი მცოდნე და საქმესთან გაცნობილ კაცებთან. საქმე ისე ყოფილა დაყენებული, არეშის მაზრას იმდენი წყალი სჭირია თურმე, რომ თუ მათ დაასწრეს ქიზიყელებს და პირველათ მათ გაიყვანეს არხები, შემდეგ ქიზიყელებს აღარ მისცემენ ნებას არხების აღდგენისას.

ეს კი უდრის მთელი ქიზიყის მოსარწყავ მიწების—40,000 დესეტინის სრულს გამოფიტვას, მოსავლის შემცირებას და ხალხის ეკონომიურათ უკან ჩამორჩენას.

მოვიწვევ ქიზიყელებს სასწრაფოთ და დაუყოვნებლივ განახლონ მეცადინეობა თავიანთ მიწების მორწყვისათვის ძველი არხების აღსადგენათ, შეადგინონ საამისოთ ხელ-ახალი სასოფლო განჩინებანი, ამოირჩიონ ყველა თვრამეტმა სოფელმა ერთი ნდობ ვექილი და გამოგზავნონ თბილისში დაუყოვნებლივ თავდარიგის დასაჭერათ.

ახალი მთავრობა უფრო სამართლიანათ მოეპყრობა მათს, სამართლიანს თხოვნას, ვიდრე ძველი მთავრობა ეპყრობოდა.

## „სახალხო საქმე“

(პრესის მაგიერ)

„შუქურ-ვარსკვლავთა პარტიამ“ კიდევ ერთხელ იცვალა ფერი და, როგორც იფიქრებს—გახდა ნამდვილი ესფერი, პატარა მტკიცე სოციალიზმისა, რევოლუციონერობისა და ფედერალიზმისა („ბოლშევიკური“ ფრაზეოლოგიით, დაუმატებთ ჩვენცა) და „სახალხო გაზეთს“, რომელსაც სრულიად უმიზეზოდ დაარქვეს „სახალხო ფურცელი“, დღეს უკვე „სახალხო საქმე“ ჰქვიან.

დიდი ხანია ქვეყანამ იცის, რომ ქურქისა და სახელის გამოცვლით არ იცვლება გული და საქმე და ფედერალისტებიც არ ღალატობენ ამ აზრს დღევანდელი უმიზეზო სახელის შეცვლით.

მართლაც გადაათვალიერეთ პირველივე ნომრის სადეკლარაციო წერილები და თქვენ დარწმუნდებით, რომ ეს ისევ ის წაჯი-უკეჯიქობის მიდევარი პარტიის „აზრია“, რომელიც საკუთარის რეკლამით და სიმღერებით დამტკბარი თვალ დახუჭული უყურებს ქვეყნის ტრიალს.

„სახალხო საქმე“—სწერია მეთაურში,—პარტიულ მიმართულების დისციპლინის სახეა, მაგრამ ეს არ მოასწავებს ამხანაგების თავისუფალ აზრის დახშობას. პარტია ცოცხალი დაწესებულებაა, ერთ წერტილზე ვერ გაჩერდება, უდამ მოძრაობს და ვითარდება. ეს კი შეუძლებელია, თუ პარტიის წევრებს საშუალება არ მიეცათ თეორიულად გაარჩიონ პარტიული საკითხები ახალის თვალსაზრისით.—ეს აზრი, რაღა თქმა უნდა ჭეშმარიტია, მაგრამ სწორედ პარტიულ ორგანოდ გამოცხადების დროს ამის თქმა—ნიშნავს დატოვებას იმ ხვრელისას, რომლის საშუალებით „სახ. ფურცელიც“ „ს.-გაზეთიც“ და მისი წინაპარნიც წაჯიუკეჯიქობას თამაშობენ: გაიხსენეთ თუნდ ტერიტორიის საკითხი, საკითხი ხიზნებისა ან უკანასკნელი საკითხი „სოციალიზაციისა“, რომელმაც ცხრაჯერ იცვალა ფერი მათ ფურცლებზე და დღეს, როცა თვით ...თის ესერებმა შეამოკლეს თავისი ..., ჩვენი ესერები გადაჭრით აცხადებენ „დღესვე“ კაპიტალიზმის წინააღმდეგ მკვეთრ შეტევას (სასოფლო მეურნეობაში). *) რატომ არ ამბობენ: „სოციალიზაციას“, როცა ეს მოითხოვა კონფერენციამაც და თვით ავტორიც ამ აზრისაა? სად არის „მტკიცე შეურყეველი ნებისყოფა შუქურ-ვარსკვლავთა პარტიისა“ და პარტიული დისციპლინა? სიტყვებში, ისევ ძველებურად—სიტყვებში.

მეორე დასაძრომი ხვრელი აზრთა სხვა და სხვაობის გასამართლებლად იმავე ავტორის წერილშია: „ყოველი აქტივობა ორ სფეროში იშლება: იდეური—ინტელექტუალი და გარეგნული —ობიექტიური, ჩვენ არ შეგვიძლია დემოკრატიული (ალბად სადემოკრაციო) ხაზი გავსვათ ამ ორ სტაფთა შორის“.

დიახაც არ შეგიძლიანთ და ეს არის ყველაზედ მომაკვდინებელი ცოდვა და სისუსტე თქვენი პარტიისა, რომ ინტელექტუალ სურვილებსა, აზრებსა და ფანტაზიისაგან ვერ გაგირჩევიათ, სადემოკრაციო ხაზი ვერ გაგიყვანიათ —ობიექტურად არსებულ ნამდვილესთან და არც გინდათ გაიყვანოთ, რადგან უფრო ადვილია ტკბილ ოცნებაში და დიად სურვილებში თავის დამალვა, ვიდრე სულ მცირედი აქტივობა ცოცხალ სინამდვილეში. აი თუნდა თქვენი ესეთი ანარქისტული დებულება რას ნიშნავს თუარ უნიათობას: „სახელმწიფოს მტრობ იმდენ უფლებას ვაკუთვნებთ (საბოლოოდ), რამდენიც უცილოა (?) მეორე პიროვნების განვითარების გარანტიისათვის“? განა შეუძლიან ასეთ დებულების მეოცნებეს ხელი გაანძრიოს ავტონომიისათვისა ერთგვარ სახელმწიფოებრივ

*) ფრჩხილები ავტორისაა და არ ვიცით რას ნიშნავს, ალბად ესეც დასაძრომი ხვრელია.

ყოწბილებისათვის, რომელსაც უფლებაც აქვს დ მოვალეობაც: შეზღუდოს პიროვნება სახელმწიფოებრივ—საორგანიზაციო მიზნით. და იმ დროს, როცა უკიდურესი სოციალისტები—სოციალ-დემოკრატია მთელ იმედებს ამყარებს ობიექტიურ პირობებზედ, თქვენ გინდათ „პირობების" წინააღმდეგ დაამყაროთ სოციალიზმი და... ნირი შეეეშლებათ ხოლმე. ბავშვი ერთხელ რომ წაიქცევა, მეორედ სიარულს ისწავლის, მაგრამ როცა დიდი კაცი გაბავშვდება—ის სწორე სიარულს ვეღარ ისწავლის და თქვენ ამას ვერა გრძნობთ. თქვენ ეხლავე ექებთ ელემენტებს, რომლებიც გაჩალხავენ და გაწვრთნიან რევოლიუციონურ ენერგიას... თქვენ „ახდენთ ობიექტიურ და სუბიექტიურ ძალების საწადელ კომბინაციებს (ასოთამწყობმა თუ გიხუმრათ)" და ვერა ხედავთ, რომ ცხოვრება თქვენ არ მოგდევთ, პოლიტიკური რევოლიუცია ვერ გადაიქცა „გზა და გზა სოციალ-რევოლიუციად და თქვენი „საწადელი კომბინაციები" თქვენსავე წადილების სფეროში რჩება.

მაგრამ ვიდრე მას შევეხებოდეთ, მინდა ორიოდე სიტყვა ვსთქვა ქ. რაჭველიშვილის წერილზედ, ფრიად დამახასიათებელ წერილზედ ფედერალისტებისათვის. იგი აღწერს „ომისა და რევოლიუციის" ამბებს და რაკი რუსეთისათვის სხვა გამოსავალს ვერა ხედავს, დასძენს: „დარჩა ერთი გზა, რომელსაც უკვე ყურადღება მიაქცია რევოლიუციონურმა ხალხმა: ესაა მებრძოლ ერთა დემოკრატიის შეთანხმებული გამოსვლა და სისხლის ღვრის შეჩერების მოთხოვნა, ეს მართლაც საუკეთესო გზაა... მხოლოდ უნდა ითქვას მას არავითარი პრაქტიკული ნაყოფი არ გამოუღია". ამაშია სწორედ გულუბრყვილოთა ტრაგედია. ჯერ ერთი, ავტორმა კარგად უნდა იცოდეს, რომ ამ გზას უკვე კი არა, უპირველესად ყოვლისა, მიმართა რუსეთის დემოკრატიამაც და, როგორც გულუბრყვილოს—ჰერში დარჩა სურვილი, მხოლოდ სურვილი და განმეორება ეხლა, სამი თვის შემდეგ იმ რჩევისა, რომელსაც არავითარი პრაქტიკული ნაყოფი არ მოაქვს"—სწორედ დამახასიათებელია ფედერალისტებისა, რომელთა რჩევას და ქცევას არავითარი პრაქტიკული ნაყოფი სამშობლოსათვის არ მოაქვს, გარდა ზიანისა—რადგან მათი ძალიც ოცნებაზედ იხარჯება და სხვებსაც აცდენენ. თორემ რა გზა არის ის საუკეთესო გზა, რომელსაც არავითარი ნაყოფი არ მოაქვს? წერილის ბოლოს ავტორი გვპირდება „სანატრელ მშვიდობიანობას", რადგან „გულში უეჭველია ყველა მებრძოლი სახელმწიფო ნატრულობს მშვიდობიანობას". უნდა უთხრათ ავტორს, რომ გულში არამც თუ ეხლა, ომის დაწყებამდეც ყველას მშვიდობიანობა ენატრებოდა, მაგრამ თავში, ამ ბოროტ გამზახველ დაწესებულებაში, ყოველთვის სჭარბობს ხოლმე ინტერესთა დაპირისპირება და იგი იწვევს საშწვლოვან სისხლისღვრასა და კიდევაც გააგრძელებს სამს წელიწადს, რაც უნდა კარგი, კეთილი და დაღალული ოცნებისა იყოს რაჭველისთანა კეთილი ხალხი და სტოკჰოლმის სოციალისტები ისევე ვერ შესწყვეტენ ომსა, როგორც სოციალისტებმა ვერც დაწყება ჩაშალეს და ვერც რუსეთის რევოლუცია მოახდინეს. რევოლუცია მოახდინა შიმშილმა და გერმანეთთან შებრძოლებამ და ესევე შიმშილი და ბრძოლა ემუქრება რევოლუციას დღესაც—ეს არ უნდა დაივიწყონ არა მარტო პოლიტიკურ პარტიებმა, არამედ სოციალისტ-ფედერალისტებმაც.

**რ. გაბაშვილი.**

## ფრანგული პრესა

**პარიზის ქართველების ხმა.**

საფრანგეთის ოფიციოზურ გაზეთ „ტან"-ში დაბეჭდილია შემდეგი ცნობა:

პარიზის ქართველმა კოლონიამ დეპეშა გაუგზავნა მინისტრ კერენსკის:

„პარიზის ქართველები სიხარულით და აღფრთოვანებით ეგებებიან რევოლუციის ტრიუმფიან მსვლელობას.

საქართველო, რომელიც ნებაყოფლობით შეუერთდა 1783 წელს რუსეთს, მოელის სრულს აღდგენას თავის დამოუკიდებლობისას, რათა განაგრძოს ის მდიდარი ისტორია, რომელიც ქართველმა ხალხმა შეინახა მწუხარებასა და ტანჯვაში საუკუნეთა განმავლობაში.

გაუმარჯოს საქართველოს საერთაშორისო კავშირს".

ასეთივე დეპეშა გაეგზავნა საქართველოს დეპუტატს ნიკოლოზ ჩხეიძეს, სადაც სხვათა შორის ნათქვამია:

„ეხლა როდესაც რუსეთი განთავისუფლდა, ვტანჯებით საქართველოსთვის და სხვა დამონებულ ერებისთვის.

გაუმარჯოს დამოუკიდებლობას ყველა ერებისას".

# ომი და ზავი

## დეპეშები

**რუსეთის ბანაკის ცნობა.**

**პეტროგრადი.** მკათათვის 15. **დასავლეთის ფრონტი.** ბალტიის ნაპირებიდან მდ. პრიპეტამდის სროლა და მზვერავთა მოქმედებაა. გალიციაში მტერმა მთელს ფრონტზე შემოგვიტია. კარპატებში კარლიბაბის აღმოსავლეთ რაიონში მტერმა იერიში მოიტანა. ჩვენ დავიხიეთ.

**რუმინეთის ფრონტი.** კიძი-კაზარგელის მიმართულებით რუმინელებმა მკათათვის 14 მონესტირკა-კამინულდრაგოსლოვეი-ბერესჩის სამხრეთ დასავლეთით და ბერესჩის სამხრეთ-აღმოსავლეთით 5 ვერსზე მდებარე სიმაგრეები დაიჭირეს; ამასთან რუმინელებმა ხელთ იგდეს მტრის ერთი ბატარეია და ტყვეები.

**კავკასიის ფრონტი.** სროლაა.

**მფრინავთა მოქმედება.** მტრის ჰაეროპლანებმა სადგურ მოლოდინსზე გადაფრინეს დროს სასანიტარო ნაწილში 5 ყუმბარა ჩამოაგდეს. მოკლულია ექიმი, დაიჭრნენ მოწყალების და, მედიკი და ერთი ბიჭი. ბარანოვიჩის სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩვენი მფრინავმა მტრის ჰაეროპლანი დასწვა.

**მოქმედი ჯარი.** მკათათვის 13. **ოფიციალი.** კიმპი-ბუტნას ღელეებს შორის რუს-რუმინელების ჯარი შეტევას განაგრძობს. უკვე 12 კილომეტრით წაიწიეს წინ. რუმინელებმა ხელთ იგდეს 450 მეტრი ტყვე, მძიმე ზარბაზანთა ბატარეია, სამთო ზარბაზნები, 17 ტყვიამფრქვეველი და დიდძალი სამხედრო ალაფი.

**პეტროგრადი.** მკათათვის 16. **ოფიციალი. დასავლეთის ფრონტი.** ბალტიის ნაპირების და მდ. პრიპეტის შუა სროლასთან ერთად მფრინავთა მოქმედებაც სწარმოებს. გალიციაში ზბარაჟის დასავლეთ რაიონში მტრის შემოტევა მოვიგერიეთ. ტარნოპოლის მიმართულებით მტერი იხრიმოვცა-რომანოვკა-ქერეზა-კოლოდიევკა-პოზნანკა და გეტმანსკა-ელიონორუვკასოროკი-კროგულეცის ხაზებს მოუახლოვდა. გუსიატინის დასავლეთით ჩვენ ჩაბარუკა-დანბოვკას ასპარეზი დავტოვეთ. ზალეშჩიკის დასავლეთით მტერმა ოსიეუკი, პოლნა და ტოპოროვცე დაიჭირა. კარპატებში ტამნატიკის მთის რაიონიდან მტერმა ჩვენი აღმოსავლეთისკენ გამოდევნა.

**რუმინეთის ფრონტი.** კიძი-ვაძარგელის მიმართულებით მონესტირკა-კაშინულის დასავლეთით რუმინელებმა რამდენიმე სიმაღლე დაიჭირეს.

**კავკასიის ფრონტი.** ღირსშესანიშნავი არა მომხდარა რა.

**სიკვდილის ბატალიონის სიმამაცე.**

**ოდესა.** მკათათვის 14. სანდო წყაროებიდან იუწყებიან, რომ რუმინეთის ფრონტზე, დარნოსკის რაიონის „1327" სიმაღლეზე სიკვდილის ბატალიონმა მტრის თხრილები დაიჭირა, ხელთ იგდო ტყვიის მფრქვეველი და ტყვეები, მტრის ცეცხლის გამო თავის თხრილებს დაუბრუნდა. გენ. ტიხონრავოვი დაიჭრა.

**საფრანგეთის ბანაკის ცნობა**

**პარიზი.** მკათათვის 15. იურტებიზის ზეგანზე, დილის სამხრეთით, მთელი დღე ბრძოლა იყო. ალაგ-ალაგ არტილერიაც მოქმედობდა. შამპანში გერმანელებმა უმნიშვნელო იერიშების შემდეგ მარცხნივ ბლოკის მთამდე და კასკის მიდამოებამდე მარჯვნივ ასპარეზს ყუმბარები დაუშინეს.

**ჰავრი.** მკათათვის 15. ბელგეთის **ოფიციალი.** დიქსმუდეს ჩრდილოეთით მტრის ჩვენ თხრილებზე თავდასხმა მოვიგერიეთ.

**პარიზი.** მკათათვის 14 (დაგვიანებულია). ოფიციალი. წუხელ კრაონიდან დაწყებული იურტებიზამდე არტილერია ენერგიულათ მოქმედებდა. შამპანში, მარონვილეს სამხრეთ-დასავლეთით გერმანელებთა იერიშები მოვიგერიეთ. ობერივის სამხრეთით გახშირებული შეტაკებაა.

**პარიზი.** მკათათვის 15. მთელ ასპარეზზე დღეს საწყნარე ჩამოვარდა, მხოლოდ აილის, იურტებიზის რაიონებში და მასის ორთავ მხარეს საარტილერიო ბრძოლა სწარმოებდა.

**ახლო აღმოსავლეთი.**

**პარიზი.** მკათათვის 15. ვარდარას რაიონში საარტილერიო ბრძოლაა. სტარავინის მახლობლათ სერბიელებმა მტრის პატრულები გაფანტეს.

**ინგლისის ბანაკის ცნობა.**

**ლონდონი.** მკათათვის 15. **ოფიციალი.** წუხელ ჩვენებმა მტრის ჯარი მათგან დაჭერილ სოფლიდან (?) განდევნეს. მალე კონტრ-იერიშით ჩვენებს უკან დაახევინეს და სოფელი დასტოვეს. გიულეკურის სამხრეთ-აღმოსავლეთით მტერი მოულოდნელად დაგვესხა თავს. ცხარე ომი გაჩაღდა. მტერმა დიდი ზარალი ნახა. ჩვენ მხოლოდ რამდენიმე ჯარის კაცი დავკარგეთ.

**ლონდონი.** მკათათვის 15. ოფიციალი. გუშინ საღამოთი არმანტერის სამხრეთით, კოსტმეერნის აღმოსავლეთით მტერს თავს დავესხით. მტრის შემოტევა მოვიგერიეთ იპრის ჩრდილოეთით არმანტერის მიდამოებში მტრის არტილერია მოქმედობდა.

**საბერძნეთის ფრონტი**

**ხოლუნი.** მკათათვის 13. გუშინ მთელ ფრონტზე არტილერია მოქმედობდა. აგრეთვე დღეს ვარდარას მარჯვენა ნაპირზე. დემირ-გისსარის რაიონში ბრიტანელების ჰაეროპლანები მტრის ბანაკებს ყუმბარებს უშენდნენ.

**იტალიის ბანაკის ცნობა.**

**რომი.** მკათათვის 14. ოფიციალი. კორდევოლესა და ზემო ბოიტის ლელეებში მალგა და ცურეცთან ჩვენ მტერს თავს დავეცით. ცონიას ლელეში მთა რომაბონზე და დოსსო-ფაიტზე მტერმა იერიშები სცადა მაგრამ მოვიგერიეთ. იულიუსის ალპების ზოგ-ზოგ ალაგას გაცხარებული საარტილერიო სროლაა.

**რომი.** მკათათვის 13. კონსტანევიცის სამხრეთ-აღმოსავლეთით მტრის შემოტევა მოვიგერიეთ.

**მფრინავთა მოქმედება.** ჩვენმა ჰაეროპლანმა სანტა-ლუჩიას რკინის გზაზე ერთი ტონი ასაფეთქებელი ნივთიერება ჩაჰყარა, ალაგ-ალაგ ზარალით.

**რომი.** მკათათვის 15. პუნიატორტასა, ფალარსის და რომბონ—დოსსოფაიტის რაიონებში არტილერია მოქმედობდა.

**მფრინავთა მოქმედება.** ჩვენი ჰაეროპლანები სანტა-ლიუჩიასა და ბაცი-დი-მოდრეას შუას რკინის გზებსა და ოჩინეს სამხედრო შენობებს ყუმბარებს უშენდნენ. დღეს დილით ჩვენმა მფრინავებმა იდრიის საელექტრონო სადგურზე კაკიანოს ასპარეზზე 3 ტონამდე ასაფეთქებელი მასალა ჩამოჰყარეს.

**პორტუგალიის ტრალერის დაღუპვა.**

**ლისაბონი.** მკათათვის 15. კოსკანჯის ახლოს ნადმოსანი ტრალერი საკუთარს ნაღმს წააწყდა და ჩაიძირა. გემის ხელმძღვანელი და 10 კაცი დაიღუპა. 7 კაცი გადარჩა.

**გერმანელთა მფრინავები პარიზთან.**

**პარიზი.** მკათათვის 13. გუშინ საათის 23 მტრის მფრინავებმა იერიში მიიტანეს პარიზზე. ქალაქი შიშის ზარმა მოიცვა.

**ამერიკის ახალი ლაშქარი.**

**ნიუ-იორკი.** ამერიკის ერთ მილიონიანი ლაშქარი გადაყვანილ იქმნება საფრანგეთის ბრძოლის ველზე. პრეზიდენტს აზრად აქვს სთხოვოს იაპონეთს, რომ ჯარის გადაყვანაში უკანასკნელმა კომერციულ ფლოტით დახმარება აღმოუჩინოს.

**ამერიკის ადმირალი იაპონიაში.**

**ტოკიო.** მკათათვის 15. იმპერატორმა ამერიკის ადმირალი ნონტი სადარბაზოდ მიიღო. ხვალ მის პატივსაცემად სასახლეში საუზმე იმართება.

**რუსეთის დელეგაცია საფრანგეთში.**

**პარიზი.** მკათათვის 15. გუშინ ლონდონიდან ჩამოვიდა პეტროგრადის დეპუტატთა საბჭოების დელეგაცია. დელეგაცია სოციალისტთა წრეებში მხურვალეთ მიიღეს.

**გერმანელთა წყალქვეშას დაზიანება.**

**ლონდონი.** მკათათვის 15. იაპონიის სამხედრო გემებმა მკათათვის 9-ს ხმელთაშუა ზღვაში გერმანელების სუმბარინი შენიშნეს. იაპონელებმა სუმბარინი იერიშით დააზიანეს. მისი გადარჩენა საეჭვოა.

**ახლო აღმოსავლეთში.**

**ჰავრი.** მკათათვის 16. ბელგეთის **ოფიციალი.** მთელს ასპარეზზე არტილერიამ მოქმედება განაცხოველა.

**ინგლისი და წყალქვეშა ომი.**

**პარიზი.** მკათათვის 14. მოკავშირეთა კონფერენციის დასასრულს ლლოიდ ჯორჯმა განაცხადა, რომ წყალქვეშა ბრძოლა ვერ აიძულებს ინგლისს რომ მტერს დანებდეს.

**ავსტრო-უნგრეთი ზავის შესახებ**

**სტოკჰოლმი.** მკათათვის 15. ვენის „რეიხსპორტი" ლორდ სესილის სიტყვაში ავსტრო უნგრეთის საშუალებით გერმანეთთან ზავზე მოლაპარაკების ცდასა ჰხედავს. ამის გამო იგი სწერს: თუ ინგლისი მართლა მოწადინებულია, რომ ასეთ გზას დაადგეს, ავსტრო-უნგრეთი მას სიხარულით შეეგებება, მხოლოდ ყოველივე მისი საზავოდ გადადგმული ნაბიჯი კი ოთხთა კავშირიდან გამოსვლის სურვილს კი არ მიაწერონ. ამასთან ავსტრიის საკითხი შინაგან პოლიტიკის საქმედ უნდა ჩაითვალოს.

**შეიდემანი ზავის შესახებ.**

**სტოკჰოლმი.** მკათათვის 15. ბერლინში შეიდემანმა განაცხადა: სანამ რუსეთი განაგრძობს შეტევას, მანამ ჩვენი მოვალეობაა ვიბრძოლოთ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ რევოლუციის დამარხვა გვწადია. ჩვენი საბოლოო მიზანი თავისუფალი ევროპაა, სადაც თავისუფალი რუსეთიც შევა.

**გაზეთების აკრძალვა**

**პეტროგრადი.** მკათათვის 15. სამხედრო და საზღვაო მინისტრმა კერენსკიმ მკათათვის 15 ის ბრძანებით დრ. მთავრობის შემდეგი დადგენილებანი გამოაქვეყნა: ა) დაიხუროს გაზეთები: „პრავდა" ცენტრალ კომიტეტის და სრ-დ რუსეთის სოციალ-დემოკრატიის მუშათა პარტიის ცენტრალ კომიტეტის ორგანო და „ოკოპნ. პრავდა" ლატიშელთა სოციალ-დემოკრატიის ორგანო. ბ) ებრძანოს ჯარის უფროსებს და კომისარებს—თუ კი შენიშნეს მავნე აზრთა გამტარებელ გაზეთების გავრცელება, დაუყოვნებლივ აცნობონ სამხედრო მინისტრს, რათა მყისვე შეჩერდეს ასეთი ორგანო.

**ბრძანება ჯარში დაბრუნებისათვის.**

დღევანდელ მძიმე მდგომარეობის გამო მოვითხოვ და ვბრძანებ: ა) ყველა სამხედრო პირი—დაწყებული გენერლიდან ვიდრე უბრალო ჯარისკაცამდე—ვალდებულია დაუყოვნებლივ გამოცხადდეს მარიამობისთვის 1-მდე 1901 წ., 2) ჯარის ნაწილთა უფროსებმა გვაცნობონ, ვინც დააკლდება მარიამობისთვის პირველამდე; 3) ვინც არ გამოცხადდება—ჩაითვლი მოღალატედ და გადაეცემა სასამართლოს. სამშობლოს მძიმე მდგომარეობის გამო ვბრძანებ ყველა დაუბრუნდეს თავის თანამდებობას.

**გენ. კორნილოვი.**

მკათათვის 12, 1917.

**გერმანელთა თავდასხმა პარიზზე**

**პარიზი.** მკათათვის 15. ჰავასის სააგენტო უარჰყოფს გერმანელთა იმ ცნობას, ვითომც მკათათვის 15-ს მათი ავიატორები რკინის გზის სადგურებს და პარიზის დაწესებულებებს ყუმბარებს უშენდნენ. სააგენტო დასძენს, რომ მტრის ჰაროპლანს ზარალი არ მოუყენებიათ.

**გერმანელების წყალქვეშათა სამზადისი**

**ნიუ-იორკი.** მკათათვის 16. სანდო წყაროების მიხედვით, გერმანეთი მოკავშირეთა წინააღმდეგ მოქმედებას 200 წყალქვეშათი დაიწყებს.

**შემოტევა რუმინეთის ფრონტზედ**

**ოდესა.** მკათათვის 15. შეგნებულ წრეების ცნობით, რუმინეთის ფრონტზე მტერმა დიდი შემოტევა დაიწყო.

**სოციალისტური კონფერენცია.**

**ლონდონი.** მკათათვის 14. რუსების დელეგაციას შრომისა და სოციალისტურ პარტიის წარმომადგენლები შეეგებნენ. დელეგაცია შრომის პარტიის აღმასრულებელ კომიტეტის სხდომაზე დაესწრო და კონფერენციის მალე მოწვევა მოითხოვა. დელეგატებმა მოკავშირე ქვეყნების სოციალისტთა კონფერენციაზე დასწრების სურვილიც განაცხადეს, მხოლოდ მოითხოვეს, რომ მან საერთაშორისო კონფერენცია არ შეაგვიანოს. მოკავშირეთა კონფერენცია დანიშნულია მკათათვის 26-თვის, ხოლო საერთაშორისო—28 თვის. ეჭვს გარეშეა, რომ საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობას შრომის პარტიაც მიიღებს.

**იაპონიის კრეისერის დაზიანება.**

**ტოკიო.** მკათათვის 13. კუნძულ იეზოს ნაპირას ჯავშნოსანი „ოტოვა" წყალქვეშა კლდეს დაეჯახა და დაზიანდა.

**ებრაელების პოლკი ინგლისში.**

**ლონდონი.** მკათათვის 15. სამხედრო სამინისტროს ცნობით, ახლო მომავალში ებრაელთა ქვეითა პოლკს შეადგენენ. უმაღლეს თანამდებობებზე ბრიტანელებს დააყენებენ მათ დროშაზე მეფე დავითის ფარი იქნება გამოხატული.

**მოკავშირენი თესალიას და ეპირს სცლიან.**

**პარიზი.** მკათათვის 14. მოკავშირეთა კონფერენციამ დაადგინა, რომ საფრანგეთმა, დიდბრიტანეთმა და იტალიამ ახლო მომავალში თესალია ეპირში დაჭერილი ადგილები დასცალონ.

**შვედელთა გემის დაღუპვა.**

**სტოკჰოლმი.** მკათათვის 13. გეტებორგიდან შვედელთა გემის „მალმლანდ"-ის ჩაძირვას იტყობინებიან. მეზღვაურნი გადარჩენილნი.

**უსურსათობა ლაშქარში.**

**პეტროგრადი.** მკათათვის 13. ზანაკიდან სასურსათო მინისტრს იტყობინებენ, რომ ბოლო ხანებში სურსათს ნაკლებ აწოდებენ ლაშქარს. რადგანაც ამნაირი მოდგომარეობა ლაშქრისთვის დიდს საფრთხეს წარმოადგენს—ამისთვის სასურსათო საქმეთა [...] ჩქარი დეპეშით აცნობა [...] კომიტეტს [...], რათა ყოვ ლივე [...] საქმის და[...]თვის. შაქრის ნაკლულევანე[...]მო,—გადაწყვეტილია შაქრი[...]რალ კომიტეტის სხდომა, სა[...] ებრივ ორგანიზაციათა წარმო[...]ლების მონაწილეობით.

# რევოლუცია

## დეპეშები

**რკინის გზის მოსამსახურეთა ყრილობა**

**პეტროგრადი.** მკათათვის 15. შრომის მინისტრი სკობელევი მოსკოვში გაემგზავრა რკინის გზის მოსამსახურეთა ყრილობაზე დასასწრებლად.

**წარმოების დაცემა**

**ხარკოვი.** მკათათვის 15. მუშათა შრომის წარმოება 31 პროც. დაეცა სამთომრეწველთა მასალის გ[...]ზედ არავითარი იმედი აღ[...] სალითონო და სხ. ქარხნები [...]ბის შეჩერებას აპირობენ.

**არეულობა ყირგიზებ[...]**

**ეკატერინბურგი.** მკათა[...] ყირგიზთა შორის სერიოზულ[...]ვარება მომხდარა. ბევრს უპ[...] კუთარი იარაღი და ტყვიის-მ[...]ლები.

# სარევოლუციო დიქტატურ[...]

**კადეტთა პარტიის კონფერენცია.**

**პეტროგრადი.** მკათათვის 15. დღეს დამფუძნებელ კრებისათვის საარჩევნო კომპანიის შესამზადებლად ხალხის თავისუფლების პარტიის საოლქო კონფერენცია დაიწყო.

**აღმასრულებელ კომიტეტის განყოფილებათა გამგენი:**

**პეტროგრადი.** მკათათვის 14. დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტმა ბიუროს განყოფილებათა გამგეები აირჩია: საერთაშორისო განყოფილების გამგედ—ლიბერი; საზღვაო განყოფილების გამგედ—ლეიტენანტი ფილიპოვსკი; საქალაქო განყოფილებისად—ანისიმოვი და ზავადიე; „იზვ. სოვ. დეპ." და „გოლ. სოლ." პასუხისმგებელ რედაქტორად—დანი.

**კერენსკი ფრონტზეა.**

**პეტროგრადი.** მკათათვის 15. დღეს საღამოს 7 საათზე მინისტრ-თავმჯდომარე კერენსკი ფრონტისკენ გაემგზავრა.

**პირველ საჭიროებით ნივთებისთვის.**

**პეტროგრადი.** მკათათვის 13. ფინანსების სამინისტრომ ადგილობრივ ორგანოთა თანხით პირველ საჭიროებით ნივთების მიწვდის შესახებ წესები შეიმუშავა. მიმდინარე ანგარიში ადგილობრივ ორგანოებს საკრედიტო დაწესებულებებში ექნებათ.

**ვაჭარ მრეწველთა დეკლარაცია.**

**პეტროგრადი.** მკათათვის 15. ვაჭრობისა და მრეწველობის ყრილობათა წარმომადგენლებმა, სრულიად რუსეთის ვაჭრობისა და მრეწველობის საბჭომ მოსკოვის საბირჟო კომიტეტმა დეკლარაცია გამოუშვეს. დეკლარაციას ხელს აწერენ კუტლერი და ტრეტიაკოვი. დეკლარაციაში მოყვანილია ის პირობები, რომლებითაც სავაჭრო-სამრეწველო კლასების წარმომადგენლებს კოალიციონურ სამინისტროში შესვლა შეეძლებათ.

# ახალი სამხედრო ცენზურა

**პეტროგრადი.** მკათათვის 17. ვინაიდან ამ ბოლო დროს პრესაში გამოქვეყნებული სამხედრო ცნობები ხანდისხან პირდაპირ შველას უჩენდენ მტერს, დროებითმა მთავრობამ გადასწყვიტა, რომ შემოღებულ იქმნას სამხედრო ცენზურის ახალი წესები. აკრძალულია რუსის ჯარისა და ფლოტის მოქმედების შესახებ სამხედრო ცენზურის წინასწარ გადაუსინჯავად რაიმე ცნობების მოთავსება, როგორც დროულ გამოცემებში ისე სხვა და სხვა თხზულებებში. ამ დადგენილების დამრღვევლებს ან 2 თვიდან მოკიდებული წელიწადსა და 4 თვემდე დაატუსაღებენ, ან სამი თვის ციხეს მიუსჯიან, ანდა ერთ თუმნამდე ფულს გადაახდევინებენ. ეს დადგენილება სამართველო სენატის გამოქვეყნებამდის უნდა შევიდეს ძალაში.

# საზღვარ გარედ გასვლის აკრძალვა

**პეტროგრადი.** მკათათვის 14. დროებით მთავრობის დადგენილებით ამ წლის მარიამობისთვის 2-დე სახელმწიფო საზღვრები დაიკეტება. ეს დადგენილება მოქმედებაში დეპეშით შევა. სანაპირო პუნქტში მისულ პირებს 24 საათის განმავლობაში საზღვრად მასვლის ნება მიეცეთ. საზღვრად გასვლა იმ პირთ შეეძლებათ, ვისაც დიპლომატიური პასპორტები და საწრაფო ფურცლები ექნებათ. აგრეთვე გასვლის ნება აქვთ მათ, ვინც ამ დადგენილების გამოქვეყნების დროს ზღვაში იქნება და ვისაც რ[...] შესვლის ნებართვა აქვს მი[...] ცალკე შემთხვევებში სამხედრ[...] გარეშე საქმეთა მინისტრების [...] თვითაც შეიძლება საზღვარ[...] გასვლა. დადგენილებას ხელს [...] მინისტრ-თავმჯდომარე კერენს[...] გარეშე საქმეთა მინისტრი ტერე[...].

ეს დადგენილება ჩვენ საზღ[...] დაცვის საჭიროებით არის გამო[...]ლი, ვინაიდან რუსეთს ათასი[...] მავნე და საეჭვო პირები ეტანე[...] რუსეთიდან გასვლა კი იმ მოსაზრ[...] აკრძალეს რომ ადვილი შეიქმნეს [...]სეთში ჯაშუშების შეპყრობა. მთა[...]ბა ჰგრძნობს, რომ ეს დადგენი[...] ხალხს შეავიწროებს და ამიტომ [...] მხოლოდ მარიამობისთვის 2-დე [...]ბა მოქმედებაში.

# მოსკოვის თათბირი

**პეტროგრადი.** მკათათვის 15. [...] წმინდა წყაროებით იტყობინებ[...] რომ მომავალ მოსკოვის თათბირს [...] ვიდარი კავშირი არა აქვს მთავრო[...] კრიზისთან. კრების მიზანია დაი[...]ის პროგრამა, რომლითაც დღე[...] კოალიციური სამინისტრო ხელმძ[...]ნელობდა.

# სინიდისის თავისუფლ[...]ბის კანონი.

**პეტროგრადი.** მკათათვის 14 დრ[...]ბით მთავრობამ დაადგინა: 1) უზრ[...]ველ იქმნას რუსეთის სახელმწი[...] ყველა მოქალაქეთათვის სინიდ[...] თავისუფლება. სამოქალაქო და [...]ლიტიკურ უფლებათა მიღება ამიე[...]დან დამოუკიდებელია სარწმუნოე[...]საგან, სარწმუნოების გამო არავის [...]ლება არ შეიზღუდება. 2) მცირეწ[...]ვანთა სარწმუნოება (9 წლამდე) მოკიდებულია დედმამის მიერ,—დედ-მამა ვერ შეთანხმდა მიშინ ბ[...] მამის სარწმუნოება უნდა მი[...] მშობელთა გაყრისას ბავშვი მიი[...] იმ მშობლის სარწმუნოებას, რომ[...]თანაც დარჩება. 3) უდედმამობის [...]ბავშს შეუძლია ამყვანის ანუ აპე[...] სარწმუნოებაზე გადავიდეს. 4) [...]წლიანს თავისი ნებით შეუძლია [...] წმუნოების მიღება მთავრობის [...] კითხავათ და უგანცხადებოდ. 5) [...]რე წლოვანი (9 წლამდე), თუ დედმამა რომელიმე სარწმუნოებ[...] გადავიდა, შეუძლიათ იმავე სარ[...]ნოების მიღება, ხოლო მშობ[...] უთანხმოების გამო, შეუძლიათ ძ[...] ძველებური სარწმუნოება დაიარ[...] 9 წლისაზედ დიდ მცირეწლოვ[...]გ დ ყვანა ახალს სარწმუნოებაზე [...] დაუკითხავად (?) არ შეიძლება. [...] პირთა ქონების აქტები, რომე[...] არც ერთს სარწმუნოებას არ [...] თვნიან იწარმოებენ ადგილო[...] თვითმართველობის ორგანოთი [...] წლს იანვრისთვის 17-ის მ-2-ე [...]ნებით.

# მემკვიდრეობის შეზღუდ[...]

**პეტროგრადი.** მკათათვის 1[...] ფინანსთა სამინისტრომ მეხუთე ხ[...]ხოვან მემკვიდრეობის, ე. ი. ბიძ[...]ლების შვილთა სამემკვიდრო უფ[...]ბების მოსპობა აღძრა. ამასთან ე[...] ასეთ უმემკვიდრო წილების ხაზი[...]თვის გადასაცემად იუსტიციის [...]ნისტრს კანონპროექტის შემუშ[...] დაევალა.

## ყაზახების დამარხვა

**პეტროგრადი.** მკათათვის 14. დღეს დიდის დღესასწაულით მიაბარეს მიწას იმ შეიდ ყაზახთა გვამი, ვინც მკათათვის 4 თავიანთ მოვალეობას შეეწირნენ მსხვერპლად. ჯერ ისევ დილით ისაკიევის ტაძრის მოედანი სავსე იყო ჯარითა და ყაზახებით. მწირველი საქართველოს ყოფილი ეკზარხოსი იყო. მგალობლებად—მიტროპოლიტის ხორო. წირვაზე იყვნენ აგრეთვე: ჩერნოვი, სკობელევი, სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარე როძიანკო, ს. რ. ს. დ. და კ. ცენტრალ კომიტეტების წარმომადგენლები, სრულიად რუსეთის გლეხთა დეპუტატების საბჭოს წარმომადგენლები, ინგლის-ფრანგი ოფიცრები; ქალაქის თვითმმართველობის წარმომადგენლები, პეტროგრადელ მეცხოვნეთა დელეგაცია, დაჭრილთა სათნოების დების და სხვათა წარმომადგენლები. გამოსვენების დროს კერენსკიც მოვიდა. ერთ კუბოს კერენსკი, სკობელევი, სინოდის ობერპროკურორი ლვოვი და სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარე როძიანკო მიასვენებდნენ.

პროცესიას წინ ყაზახები მიუძღოდნენ, შემდეგ მეკავირგვინენი, მგალობლები, სამღვდელოება, კატაფალკები კუბოებით, თვითეულ კატაფალკას მსხვერპლად შეწირულ ყაზახის ცხენს მიაყოლებდნენ. ერთ ცხენზედ დაღუპულ გმირის შვილი იჯდა. დაკ ძალვა ალექსანდრეს ლავრის მთავარ ეზოში მოხდა. სასაფლაოზე სიტყვა არვის უთქვამს. გამოსვენების დროს კი კერენსკიმ შემდეგის სიტყვით მიმართა ხალხს: „მოქალაქენო. ჩვენ მწუხარე დღესასწაულის დამსწრენი ვართ. ყველა ჩვენგანმა თავისუფალ რუსეთის სახელით მუხლი უნდა მოიდრიკოს თავისუფლებისა სამშობლოს გულისათვის მსხვერპლად შეწირულ გმირთა წინაშე. დროებით მთავრობის სახელით გაცხადებთ, რომ რუსეთის სახელმწიფო უფსკრულის პირას დგას. სამშობლოსა და თავისუფლებისთვის შეწირულ მსხვერპლთა სახელით მამულის სახსნელად მოგიწოდებთ თქვენ ყველას! მე იმედი მაქვს რომ რუსის ჯარი ჩვენს საზღვრებში შემოჭრილ მტერს გარდევნის და მოპოვებულ თავისუფლებას განამტკიცებს. შეჰფიცეთ ამ გმირთა გვამებს, რომ ყველა თქვენგანი ჩვენთან, მთავრობის წევრებთან ერთად, წამლად დაედება სამშობლოსა და თავისუფლებას. ხალხი და ჯარი კერენსკის მქუხარე ტაშით და „ვაშას“-ს ძახილით შეეგებნენ. წინა რიგში ისმოდა: „ვფიცავთ ვიხსნით სამშობლოს“-ო...

სრულ-რუსეთის მუშ. და ჯ. დეპ. საბ. ცენტ-კომი. განკარგულებით ყაზახთა დამარხვის დღეს ქარხნებში მუშაობა არ შეწყვეტილა. დამარხვას მხოლოდ თითო ქარხნიდან ოცდაათამდე კაცი დაესწრო.

## ეროვნული საკითხი

**ირლანდიის კონვენტი გაიხსნა**

**ლონდონი.** მკათათვის 13. დუბლინში ახლად გახსნილმა ირლანდიის კონვენტმა, თავმჯდომარედ ამოირჩია მორასა ლენკეტტი, რომელიც დიდი ხნობით ხელს უწყობს ირლანდიელთა პოლიტიკურ ცხოვრებას.

**უკრაინის გენერალ სეკრეტარი**

**კიევი.** მკათათვის 15. ცენტრალ რადის კომიტეტმა პირდაპირი ხმის მიცემით გენერალი სეკრეტარიატი ამოირჩია. სეკრეტარიატის შინა საქმეთა თავმჯდომარედ ვინნიჩენკო ამოირჩიეს.

**ებრაელები და საერთაშორისო კონფერენცია**

**სტოკჰოლმი.** მკათათვის 15. ჰოლანდია—სკანდივანიის კომიტეტმა მიიღო ებრაელთა ეროვნული სოციალისტურ მუშათა პარტიის წარმომადგენლები, რომელნიც ებრაელთა სრულ თანასწორობას მოითხოვენ ყველა სახელმწიფოებში.

**რუსეთის სესხის საქმე ფინეთის სეიმში**

**ჰელსინგფორსი.** მკათათვის 15. სეიმმა მესამე კითხვაზე რუსეთის სავალიუტო სესხის კანონ პროექტი არ მიიღო. სეიმმა ფინეთის ბანკს რუსის ვალიუტაზე 100 მილიონ მარკის გაცვლის ნება მისცა.

**პილსუდსკის დატუსაღების გამო**

**სტოკჰოლმი.** გაზეთი „ლოკალ ანცეიგერი“ იტყობინება, რომ სახელმწიფო საბჭომ განმარტება წარუდგინა ბაზელერს, რომელშიაც აღნიშნულია, რომ ბრალდება ვითომ დაპატიმრებულ პილსუდსკის რუსეთის მხარე ეჭირო, სიმართლეს მოკლებულია.

## თათბირი პოლონეთის შესახებ

**სტოკჰოლმი.** მკათათვის 15. ვოლფის სააგენტო იტყობინება, რომ ვარშავაში ჩავიდნენ გერმანეთის მთავრობის წარმომადგენლები, რომელნიც პოლონელებთან ერთად ითათბირებენ პოლონეთის წესწყობილების და კერძოდ სახელმწიფო საბჭოს მოწვევის შესახებ. პირველი მოლაპარაკება მოხდება ხუთშაბათს.

## რუსეთი და უცხოეთი

**კანადის სესხი ამერიკაში**

**ნიუ-იორკი.** მკათათვის 15. კანადამ ორის წლის ვადით შეერთებულ შტატებისგან 100 მილიონი დოლლარი ისესხა.

**მეზღვაურთა ყრილობა.**

**პეტროგრადი.** მკათათვის 16. მკათათვის 17 პეტროგრადში საბჭოთა ფლოტის მეზღვაურთა ყრილობა დაიწყება. უკვე 82 წარმომადგენელია ჩამოსული.

**სიმშილი ჩეხიაში**

**ციურიხი.** თიბათვის 11. ტეპლიცის ოლქში (ჩეხია) თიბათვის გ ნმავლობაში დაბადებულა 24—გარდაიცვალა 992. მცხოვრებნი სიმშილით იხოცებიან.

**საფრანგეთის კონსტიტუციის გადასინჯვის მოთხოვნა.**

**პარიზი.** მკათათვის 15. სოციალისტები პალატაში კონსტიტუციის გადასინჯვას მოითხოვდნენ. გარდა ამისა საჭიროდ სცნეს ორივე პალატის გაერთიანება ეროვნულ ყრილობაზედ. ხმის უმრავლესობით ეს წინადადება არ მიიღეს.

**ნოვგოროდის ბაზრობა**

**ნიჟნი-ნოვგოროდი.** მკათათვის 15. დღეს ბაზარი გაიხსნა. კომიტეტის თავმჯდომარედ დეპუტატი სალაზკინი აირჩიეს. ბაზარი ენკენისთვის 10 დე გასტანს.

## დეპეშები პეტროგრადიდან

**დაინტერესებით ცნობებით ლენინმა შეიცვალა შეაფარა თავი.**

—

„ბირჟევია ვედომოსტ“-ის ცნობით ლენინი გერმანეთში გაქცეულა. სამხედრო აჯანყების დროს ლენინი კრონშტადტში ყოფილა. კრონშტადტიდან ლენინი მატროსის ტანისამოსში გადაცმული მეზღვაურებს ჰელსინგფორსში გადაუყვანიათ, ჰელსინგფორსიდან კი გერმანეთის ელჩის დახმარებით გერმანეთში გადასულა.

—

როძიანკოს ბინაზე მოხდა დიდმნიშვნელოვანი შეთანხმება თავად ლვოვს, კერენსკის და როძიანკოს შუა.

—

მოხდა შეთანხმება დროებით მთავრობას და კადეტებს შორის. პროგრამად მიღებულია პირველი დროებითი მთავრობის დეკლარაცია. კადეტების მხრივ დროებით მთავრობაში შევლენ ნაბოკოვი—იუსტიციის მინისტრად, კიშკინი—შინაგან საქმეთა მინისტრად, ნოვგოროდცევი—სახალხო განათლების მინისტრად, კოკოშკინი—სინოდის ობერ-პროკურორად, ასტროვი—სახელმწიფოს მეთვალყურედ, ტრეტიაკოვი—მრეწველობის მინისტრად. სამხედრო მინისტრად რჩება კერენსკი, მის ამხანაგებად დაინიშნებიან გენერლები რუზსკი და გურკო.

—

გაზეთი „ნოვაია ჟიზნი“ ფიქრობს, რომ დაწყებულ რეაქციას მიზნად აქვს ბურჟუაზიის ბრძანებლობის აღდგენა.

## ქრონიკა

### თბილისი

◆ მერვე და მეცხრე უბნის საქარ. ეროვ. დემ. პარტიის საარჩევნო კრება ხუთშაბათისათვის გადაიდო.

◆ „ახალი კლუბი“ და ქართველ მხედართა კავშირი. კვირას, მკათათვის 16-ს, ესტ. მაჩაბლის თავმჯდომარეობით მოხდა გაგრძელება კლუბისა და ქართველ მხედართა კავშირის წევრების საგანგებო კრებისა. გადაწყვეტილ იქმნა, რომ ამ კლუბს ამიერიდან დაერქვას „ქართული კლუბი“. აგრეთვე კრებაზე ხმის დიდძალ უმეტესობით გადაწყდა, რომ ქართველ მხედართა კავშირი თავისი შემადგენლობით კლუბში შედიოდეს წევრად. კავშირის მხრივ კლუბის მამასახლისთა საბჭოში სრულ უფლებიანი ხმით შევა 6 წარმომადგენელი. კლუბის წმინდა მოგებიდან კავშირის სასარგებლოთ გადაიდება 35 პროც. კლუბის ეხლანდელ შემადგენლობისა და კავშირის ურთიერთობის დაწვრილებით შესამუშავებლათ არჩეულ იქნა კომისია, რომელშიაც კლუბის მხრივ შედის 3 კაცი და სამიც კავშირმა უნდა აირჩიოს თავისს წევრთა შორის.

◆ **ქალაქის არჩევნების გარშემო.** სახმოსნო კანდიდატთა სიების წარდგენის ვადა საარჩევნო კომიტეტში დასრულდება მკათათვის 19-ს. შემდეგ სიები აღარ მიიღება. ჯერ-ჯერობით საარჩევნო კომიტეტში წარდგენილია სიები: № 1. სოც.-დემოკრატებისა (120 სახმოსნო კანდიდატი), № 2 ქართველ ეროვ.-დემოკრატიულ პარტიისა (40 კანდიდატი), № 3 დაშნაკცუტუნებისა (40 კანდიდატი), № 4 სოც.-რევოლუც. (100 კანდიდატი) და № 5 ქართ. სოც.-ფედერალისტთა და უკრაინელთა (30 კანდიდატი). მკათათვის 19-დან შეუდგებიან სიების ბეჭდვას და 23 მკათათვეს დაბეჭდილი სიები ჰამოქვეყნდება.

◆ **ახალი წიგნები:** „საქართველოს“ რედაქციამ მიიღო ზაქარია ჭიჭინაძის ახალი შრომანი: ა) ქართველ მაჰმადიანთ ცხოვრება. თბ. 1917 წ. ფასი 1 მან. და ბ) პაუპერიზმი და პროლეტარიის მიმოხილვა თბ. 1917 წ.

◆ **ქალაქის ტრამვაი** ძალზე გაცვდა და იმის გადაკეთება-განახლებას ყველა საჭიროდ სთვლის. ტრამვაის მთავარ ინჟენერს ა. კაჩკერს შეუდგენია წესი და ხარჯთაღრიცხვა ტრამვაის გასაახლებლად, რასაც კაჩკერის ანგარიშით მოუნდება 4.810.210 მან. ამ ხარჯთ-აღრიცხვას განიხილავს ქალაქის ახალი საბჭო.

◆ **ქალაქის საარჩევნო კომიტეტში** წევრებად უნდა შევიდეს კიდევ 83 კაცი. კომიტეტი სთხოვს მომქმედ პარტიებს, რომელნიც მონაწილეობას ღებულობენ არჩევნებში, წარუდგინონ სია საწევრო კანდიდატებისა.

◆ **საქონლის ჭირი.** თბილისში ძალიან მოედვა საქონლის ჭირი, რომელიც საშიში გახდა მთელი გუბერნიისათვის. გუბერნიის საერთო საბჭომ გადასწყვიტა დაუყოვნებლივ საჭირო ზომები იხმაროს ჭირის გავრცელების წინააღმდეგ, რისთვისაც საჭიროდ სცნო თბილისი გაჰყოს 4 რაიონად და საქონელს ჭირი აცრას.

◆ **სურსათი.** მკათათვის 17-ს, ქალაქის სასურსათო კომიტეტის სახელზე მოვიდა 11 ვაგონი ფქვილი.

◆ **ყველი** სრულიათ აღარ იშოვება თბილისის ბაზარში. ამბობენ, რომ ვაჭრებს დამალული აქვთ ყველი და ბევრს აზრად აქვს წინადადება მიეცეს სასურსათო კომიტეტს, რომ საწყობები გაჩხრიკოს და დამალული ყველი ხალხს მიჰყიდოს.

◆ **სამეურნეო აღწერილობის** სიაში ვინაც შეუტანელი დარჩა, მკათათვის 18-19-ს უნდა მოვიდეს ანუ ტელეფონით შეატყობინოს აღწერილობის ხელმძღვანელ კომისიაში (განთვის ქუჩა, 3) და თავისი თავი შეატანინოს სიაში. ეს სია საჭიროა თბილისის მცხოვრებთათვის სურსათ სანოვაგის რაოდენობის განსასაზღვრავად.

◆ **ქართველ ექიმთა და ბუნების-მეტყველთა საზოგადოებამ** გადაწყვიტა, ამ წლის ოქტომბრის ბოლო რიცხვებში მოიწვიოს საერთო ყრილობა საქართველოს ყველა ექიმთა, საშუალო სამკურნალო პერსონალისა და სანიტრებისა.

◆ **ქალაქის მოსამსახურენი და ტერ-მინასოვი.** ქალაქის თვითმმართველობის მოსამსახურენი უნდა შეკრებილიყვნენ ქალაქის გამგეობის პირველ განყოფილების დარბაზში თავიანთ დელეგატების ასარჩევად. მაგრამ ამ განყოფილების საქმის მწარმოებელს ტერ-მინასოვს შეკრების ნება არ მიუცია მათთვის და თავის თავი გამოუცხადებია დელეგატად. ამ ეთი საქციელისათვის ამხ ნავებმა გული წყრომა გამოუცხადეს ტერ მინასოვს და გადასწყვიტეს თავიანთ წრიდან გარიცხონ იგი.

◆ **ჟურნალი** „შინა-გიმნაზია და უნივერსიტეტ“ იბეჭდება და გამოვა მომავალ კვირას.

◆ **თამბაქოს ნიხრი.** რადგან თამბაქოსა და პაპიროსების ფასმა მოულოდნელად საშინლად აიწია, ქალაქის სასურსათო კომიტეტმა გადასწყვიტა ნიხრი დაადოს თამბაქოეულობაზე.

### კავკასია

◆ **ფოსტა-ტელეგრაფის** მოსამსახურეებს, გარდა კანდიდატების და შტატს გარეშე მსახურთა, დამატებითი ჯამაგირებს ურიგებენ თვეში 60 მან. ამ წლის აპრილიდან 6, სანამ საბოლოოდ შემუშავდებოდეს კანონი ჯამაგირების შესახებ.

◆ **პიატიგორსკში** მინერალურ წყლების სამმართველოს მუშებს განუცხადებიათ, რომ თუ მკათათვის 20-დან გადიდებულ ჯამაგირებს არ დაგვირიგებთ გავიფიცებითო. მთავრობას ჯამაგირის მომატების საკითხი ჯერ არ განუხილავს.

◆ **თავდასხმა და კაცისკვლა.** როგორც ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტს ატყობინებენ, ევლახ-შუშის გზაზე ავაზაკები გაჩენილან. მკათათვის 12-ს ავაზაკები თავის დასცემიან გზად მიმავალ მაზრის კომისარს და გამომძიებელს და სრულიად აუტეხნიათ. იმავე ღამეს გზაში დაუჭრიათ ერთი ოფიცერი.

◆ **შავ ზღვაზე.** პეტ. დეპ. სააგ. ცნობით, უკანასკნელ ხანებში შავ ზღვაზედ ოსმალთა წყალქვეშა ნავები დათარეშობენ, ამის გამო გემთა მიმოსვლა დროებით შეჩერებულია.

◆ **მეღვინეთა საბჭოს მოწოდება.** ამიერ-კავკასიის მეღვინეთა საბჭომ მევენახეობის მუშაკთადმი მოწოდება გამოსცა. მოწოდებაში აღნიშნულია ის გარემოება, რომ მეღვინეობის მუშაკნი იგივე გლეხკაცობაა და თავის რიცხვით და შემადგენლობით მხნელ-მთესველ გლეხებზე მეტნი არიან. რომ მეღვინე გლეხი იგივე მხნელ-მთესველია და პირიქითაც. წინადადებაა მოწოდებაში, ორგანიზაციის შესაკრავად ისარგებლონ არსებული აღმასრულებელი კომიტეტები და ამ კომიტეტებში აირჩიონ ისეთი პირნი, ვინც მევენახე-მეღვინეთა ინტერესებს შეეგუება. ახლო მომავალში გამოიცემა დარიგება შესახებ იმისა თუ როგორ მოეწყოს მევენახე-მეღვინეთა ორგანიზაციების განხორციელება ადგილობრივ ტეხნიკურად და პროექტი იმ დებულებისა, რომელზედაც უნდა დამყარდეს ამ ორგანიზაციების მოქმედება.

### საქართველო

**სკოლის ნაციონალიზაციის გარშემო.** ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტს მოუვიდა დასავლეთ საქართველოს სახალხო სკოლების ხელმძღვანელის ცირკულიარის ასლი, სახალხო სკოლების ინსპექტორებისა და პირველ დაწყებით უმაღლეს ტიპის სკოლებისა აღნიშნულ ცირკულიარით უცხადებენ რუს ინსპექტორებს და მასწავლებლებს, რომ ეხლავე მონახონ თავიანთთვის ადგილი ანუ შიდა რუსეთში და ანუ აქეურ რუსთა სკოლებში, რადგან, სკოლის ნაციონალიზაციის გამო, მათთვის ადგილობრივ სკოლებში მასწავლებელთა ეხლანდელ შემადგენლობიდან თითო კაცი, და ისიც ქართული ენის მცოდნენი, რუსული ენის მასწავლებლად.

◆ **მაზრის კომისრები.** ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტის მიერ მიღებულ ცნობების მიხედვით, სიღნაღის მაზრაში სამაზრო კომისარებად აურჩევიათ ვ. გელაშვილი, მ. ახმეტელი და ი. სამადაშვილი.

◆ **ქართველ მოხალისეთა პარტიზანული ლაშქარი.** ოფიცერ ოფხაზავას ბათუმში შეუდგენია 500—600 პარტიზანული ლაშქარი ავსტრო-გერმანეთის ფრონტზე წასაყვანად. ეს ლაშქარი თბილისში ჩამოვიდა და გუშინ, მკათათვის 17-ს, იგი დაათვალიერა კავკასიის სამხედრო ოლქის მთავარმა უფროსმა გენერ. მდივანმა. ზოგიერთმა საზოგადო მოღვაწეებმა კავკასიის სამხედრო საოლქო საბჭოში განაცხადეს, რომ ამ ლაშქრის სხვაგან გაგზავნა სამართლიანობას არღვევს, რადგან ჯარი ადგილობრივი საჭიროა და უკვე მიღებულ დადგენილების თანახმადაც ადგილობრივი ლაშქარი აქვე უნდა დარჩეს სამსახურში.

◆ **აჭარელთა და ლაზების პატიება** 13. კიდევ მთავარ სამხედრო სასამართლოს გამგეობას სა შემდეგი დეპეშა მიიღო: მთავარი სამხედრო პროკურორი გენერალ მაიორ აპუშკინ (მარტის 29 № 1412) დეპეშის დამატებით სამხ. სას. მთავარი გამგეობა გაცნობებთ რომ თიბათვის 16-დან გამოქვეყნდა დრ. მთავრობის დადგენილება აჭარელთა, ლაზების და სხვა მაჰმადიანთა პატიების შესახებ. ამასთანავე ვგზავნი პატიებულთა სიას, რათა იგი კავკასიის ლაშქრის მთავარ-სარდალმა სისრულეში მოიყვანოს.

◆ **ყოვლად სამღვდელო კირიონს,** ვიტებსკისა და პოლოცკის ეპისკოპოზს, 2 თვის თავისუფლება აუღია და საქართველოში ჩამოვა. როგორც ამბობენ, ყოვლად სამღვდელო ახტალაზე (კახეთში) წავა საბანაოდ.

◆ **საჩივარი მაჰმადიანებზე.** არტაანის ოლქში მცხოვრები ბერძნები სთხოვენ ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტს, რომ მათ მეზობლად მცხოვრები მაჰმადიანები სადმე გადაასახლოს, რადგ ნ, როგორც სჩანს სჩივიან მაჰმადიანები ვითომც ავაზაკობენ და ავიწროვებენ მათ. მაჰმადიანებს თუ არ გადაასახლებთო,—თხოულობენ ბერძნები,—ჩვენ გვიშოვნეთ სადმე სხვა ადგილი გადასასახლებლადო.

◆ **დახვეწილ ქართველ მაჰმადიანთა ბედი.** აკაკი ჩხენკელს, როგორც ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტის წევრს, დეპეშით სთხოვენ განკარგულება მოახდინოს, რომ განთავისუფლებულ იქმნენ საპყრობილეებიდან ის აჭარლები და ლაზები, რომელნიც მიუხედავად იმისა, რომ დროებითმა მთავრობამ სასჯელი აპატია მათ, ჯერ კიდევ იმყოფებიან მარკოვისა (ირკუტსკის გუბერ.) და ყუბის საპყრობილეებში.

### სოხუმი.

**სოხუმის არჩევნები** დასრულდა. საქარ. ეროვ. დემოკრატიულ პარტიამ ორი ხმოსანი გაიყვანა: ნ. თავდგირიძე და ა. შერვაშიძე.

### პროვინცია.

◆ **არხის გაყვანა.** სოფ ზემო-აჭალაში (თბილისის მაზრა.) მკათათვის 9-ს ბ. ჭყონიას თავმჯდომარეობით (დირექტორია მცირე წლოვან დამნაშავეთა თავშესაფარის) მოხდა ზემო-აჭალის გლეხთა ყრილობა. ბ. ჭყონიამ დამსწრეთ გააცნო ახალი სასურსათო გეგმა და სთხოვა ყრილობას ამოერჩია ხუთი კაცი სასოფლო სასურსათო კომიტეტისათვის, და ერთიც საგუბერნიოსათვის, რაიცა შესრულებულ იქნა. მერე ყრილობამ ერთხმათ მიიღო ბ. ჭყონიას წინადადება რომ ეთხოვოს მთავრობას საეკლესიო სკოლა მომავალ სექტებრიდან გადაკეთებულ იქნას ორ-კლასიან სამინისტრო სკოლად. ყრილობამ ფრიად სიმპატიური საკითხი გაარჩია, ამის განხორციელებითაც დიდ ეკონომიურ წარმატებას უმზადებს აჭალელებს. ეს გახლავთ სარწყავი წყლის გამოყვანა არაგვიდან. ეს საქმე ინჟენერ ვასაძის გამოანგარიშებით ერთ დესეტინა ადგილის პატრონს დაუჯდება ორმოც თუმნამდის, ყრილობამ საქმის შესასწავლად ამოირჩია სამი კაცი.

## ლექცია უკრაინასა და საქართველოზე

უკრაინელი ლიტერატორი, ყოფილი დირექტორი უკრაინულ პრესბიუროსი გერმანიაში ომის დაწყებამდე, ყოფილი ბერლინელი კორესპონდენტი უკრაინულ გაზეთ „რადასი“, ავტორი წერილისა, „ცალ-დაწამებული ერი“, რომელიც დაიბეჭდა „რუსკია ვედომოსტში“ (№ 281, 15 წ.), პასუხად საგარეო საქმეთა ყოფილ მინისტრის საზონოვისა და ალექსინსკის ბრალდებისა, ვითომც უკრაინელები გერმანელთა ინტრიგების აგენტები ყოფილიყვნენ და რომელმაც თავის დროზე ერთი მითქმა-მოთქმა გამოიწვია, ეს უკრაინელი, ბ-ნი გიორგი გასენკო, ამ მოკლე ხანში, თბილისში წაიკითხავს ლექციას საქართველოსა და უკრაინაზე. ლექტორი გამოდის უკრაინელებისა და ქართველების დაახლოვებას იდეის მქადაგებლად საერთო ეროვნულ მისწრაფებათა და ძიებათა პლატფორმაზე, პარტიათა განურჩევლად, საერთო პოლიტიკურ ცხოვრების მოსაწყობად კავკასიაში და პროცენტულ უმრავლესობის შესაქმნელად.

თვის ლექციაში ბ. გასენკო გამოარკვევს უკრაინელებისა და ქართველების საერთო ნაციონალურ (არა-პარტიულ) ინტერესებს და შეეხება მოუწყობელ ერთა მდგომარეობას კავკასიის მოსალოდნელ და იქნებ მოახლოვებულ ავტონომიაში. ამავე ლექციაზე პოეტი გოროდეცკი მოკლედ დაახასიათებს უკრაინულ და ქართულ პოეზიის ეროვნულ მოტივებს.

## რუსეთი და ევროპა

II

მიწის სოციალიზაციის იდეა რუსეთში პრეტენზიაა თუ სხვა რამე, ამის ასახსნელად ისტორიას უნდა მივმართოთ.

ერთი ინგლისელი ლინგვისტი ამბობს, რომ რუსები და საერთოდ სლოვანები კულტურის მონათესავენი არიანო. კელტები, როგორც ვიცით, გერმანელებმა მიაჰპეს, ხოლო რუსები შეეხიზნენ უდაბურ და ჭაობებიან ტყეებს, სადაც არავინ ეკარებოდა მათ და იქიდან კი გასაქანად არ უშვებდენ. როგორც სუსტი ენერგიის ხალხი ერთა დიდ გადასახადების დროს სამხრეთ რუსეთის საუცხოვო საბალახო მინდვრებიდან გაძევებულ იქმნენ. მაგრამ უეჭველია ამ ხანას უბრძოლველათ არ ჩაუვლია. პირველი თავდამსხმელნი გუნები იყვნენ (მეოთხე საუკ.), შემდეგ ავარები (VI ს.) ბოლგარელები (მეექვსე—მეშვიდე საუკ.), მადიარები ანუ უნგარელები (მერვე საუკ.). ყოველ ამ ხალხს ცოტაოდენი ჩამორჩებოდა, შეერეოდა რუსებში და თავის ენერგიას შეჰმატებდა. მეცხრე საუკუნეში, როგორც ისტორიიდან ვიცით, მოვიდნენ ვარიაგები, ე. ი. ჩრდილო გერმანელები და დაარსეს სახელმწიფო წესწყობილება. თუმცა რუსის ისტორიკოსი ილოვაისკი ამტკიცებდა, რომ არავინ მოსულა, ეს ზღაპარიაო, მაგრამ ეხლა ეს ზღაპარი დამტკიცებულია ლინგვისტიკის მიერ. როცა გერმანელების ენერგია გაითქვიფა რუსებში და გაშრილი, თავად იმ დროს რუსეთს მოადგნენ მონგოლები, დაიპყრეს მთელი რუსეთი და ბატონობდნენ თითქმის 300 წელიწადს 1224—1480. ამ ხნის განმავლობაში რუსებს ბევრი მონგოლი შეერია და თავისი ენერგია მათში გადაასხა. მონგოლები ბატონობაში დასუსტდნენ. მათი კულტურა დაბალ საფეხურზე იყო, განათლებულ ერებთან მეზობლობა არა ქონდათ; სახელმწიფო წესწყობილება მათი უვარგისი გამოდგა და იმათი სახელმწიფო დანგრევისაკენ დაექანა. რუსები კი ახალი ენერგიის შეძენით გაძლიერდენ და შექმნეს დიდი იმპერია, მაგრამ ამ ქამათ სხვისგან მიღებული ენერგია უკვე გამოლეული უნდა იყოსო—მეუბნებოდა ინგლისელი ლინგვისტია იაპონიის ომის დროს 1904 წ.

იაპონიის ომმა დაამტკიცა, რომ გამარჯვება ომში დამოკიდებულია არა ჯარის სიმრავლეზე, არამედ ლენერლებზე და ზარბაზნებზე; სტრატეგიაზე და არტილერიაზე; მეცნიერებაზე და ტეხნიკაზე.

ეს მასალა ნაკლებათ აღმოაჩნდა რუსეთს, არა თუ იაპონიის ომის დროს, ეხლაც. იაპონიის ომის გამოცდილება მათ ყველაზე უფრო უნდა გამოეყენებიათ, და ამ ომისათვის სხვებზე უფრო მომზადებული უნდა ყოფილიყვნენ, რადგან ომი მოულოდნელი არ იყო მათთვის. მაგრამ სრულებით მოუმზადებელი გამოდგნენ. ეს გარემოება აიხსნება ენერგიის ნაკლულობით, ნებისყოფის სისუსტით. ნებისყოფის სისუსტე რუსებისა აშკარათ გამოჩნდა იაპონიის ომის დროს, შემდეგ 1905 წ. რევოლიუციაში და ეხლაც, როგორც ომში აგრეთვე რევოლიუციაში. კომისარმა ხარლამოვმა საჯაროთ გამოაცხადა. რომ თუ ჩხეიძე არ ყოფილიყო, პეტროგრადის მოძრაობა ანარქიათ გადაიქცეოდაო.

დიდი ნების ყოფა აუცილებელი საჭიროა სარდლისათვის, მმართველისათვის და ვაჭართათვის. მთელი რუსეთის ვაჭრობა და მრეწველობა ან უცხოელათ ხელშია ანუ ეგრეთ წოდებულ სტაროვერებისა და სტაროობრიადცების ხელში.

ნების ყოფის სისუსტე ზარმაცობას მოასწავებს, და ზარმაცი ხალხი კი სიღატაკეს განიცდის.

აი ამ სიღარიბის გასაკურნავათ მოიგონეს მიწის სოციალიზაცია. ევროპაში არა თუ სოციალიზაცია, ექსპროპრიაცია მოხდა, გლეხობას მიწები ჩამოართვეს განთავისუფლების დროს, მაგრამ ევროპა მაინც მდიდარია.

მაგრამ რუსები გაიძახიან: „ევროპა ლპება ჩვენ ახალ გაზდა ერი ვ..., და ევროპას ჭკუა უნდა ვასწავლოთო“. აი ამასა ჰქვიან მეტობა. მაგრამ ეს რუსის ხასიათის ერთ-ერთი თვისებაა—მედიდურობა, მეტი სიამაყე. საუცხოვოა ამ მხრივ რუსული სიტყვა „ნემეც“. ეს სიტყვა წარმოდგება სიტყვა „ნემოი“-დან, რომელიც ნიშნავს მუნჯს. ნემეცს ძველათ რუსები უწოდებენ ყოველ ევროპიელს. იმ ევროპიელს, რომლისაგან ყველაფერი უსწავლია უწოდებდნენ მუნჯს, მხოლოდ იმიტომ, რომ ევროპიელმა რუსული ლაპარაკი არ იცოდა. მეტი უსაფუძვლო სიამაყე განა შეიძლება. რუსის მდაბიო ხალხი დღემდე დარწმუნებულია, რომ მაიმუნი ნემეცმა გამოიგონა, მაგრამ იმას მაინც მუნჯს უძახის.

ამ გვარივე მეტობით უნდა ჩაითვალოს, რომ რუსეთმა მიწის სოციალიზაციით ევროპას ჭკუა უნდა ასწავლოს.

ბ. გ.

## ჩემი დღიური

I.

რევოლიუციამ საერთოდ მთელს რუსეთში და კერძოდ ჩვენს, ქართულს ცხოვრებაში მრავალი საკითხი გამოიწვია.

ამ ჟამად უმთავრესი საკითხია ის, რომელიც მიწას და სოფლათ მცხოვრებელ ხალხს შეეხება.

ბდვილათ გადაწყვიტეს ეს საკითხი პარტიის კრებაზე.

— უნდა ჩამოერთვას მამული მებატონეებს!

— მიწა იმისია, ვინც თითონ მუშაობს მიწაზე!—ისმის და იკითხება გაზეთებში.

მართალია, გლეხ კაცს, რომელიც მუდამ სოფლათ ცხოვრობს, რომელმაც მიწის მუშაობის მეტი არაფერი იცის, უნდა ჰქონდეს მიწა.

ამის წინააღმდეგი მგონია არავინ იქნება. მაგრამ... ჩვენ რომ ღრმათ შევხედოთ ამ საკითხსა, და თვალი გადავავლოთ ჩვენ წარსულს იქნება

გლეხების მეტი სხვებიც მოგვაგონდეს.

პირველი ის არის, რომ მიწის საკითხი გაირჩევა დამფუძნებელ კრებაზე რუსეთში კერძოთ ავტონომიურ საქართველოში—ჩვენზე კარგათ ვინ იცის ჩვენი ცხოვრება და ის პირობები, რომელშიაც ქართველი ხალხია?!

დამფუძნებელი კრება იქნება ცნკენისთვში.

მაგრამ აქა-იქ, ქართლში, აგრეთვე კახეთში უკვე განძრახვა აქვთ აღარ მისცენ ღალები პატრონებს. ნუ თუ რევოლიუციის იდეალი ის არის, რომ გუშინდელი მშიერი დღეს გაძღეს და დღევანდელმა მაძღარმა ხვალ შიმშილით სული დალიოს?!

თუ არის ლაპარაკი მიწის ჩამორთმევის გარშემო—ეს ლაპარაკი იქ არის, სადაც მიწის პატრონებს 1,000 10,000, 100,000 ან მილიონი დესეტინები აქვთ, და არა ჩვენ საქართველოში, სადაც სუყველა ვისაც კი 30—50 დესეტინა აბადია, მიამიტათ თავის თავს „პომეშჩიკს“ ეძახის.

ვინ არ იცის ჩვენი სილატაკე? სად არის იმდენი პროლეტარი, როგორც ჩვენ თავად-აზნაურობაში?

ნამეტანათ ისინი გალარიბდნენ ამ 15—20 წელიწადში, როცა ჩვენმა ახალგაზდობამ გაიღვიძა და ცოდნის წყურვილმა საქართველოს შვილები გაიტაცა.

ხომ ვიცით რომ საქართველოში არც ნავთის შადრევანები სცემს, რომ გულუხათ დაიხარჯოს ფული, არც ქარხნებია.

უმაღლესმა სწავლამ, რუსეთში ან საზღვარ გარეთ ცხოვრებამ, გამოიწვია დიდი ხარჯები, მაგრამ მიწამ ხომ არ მოიმატა, არც მოსავალმა.

მშობლებმა მისცეს მხარი შვილებსა და როგორც ნამდვილმა მუშებმა ისე იმუშავეს, ეგების ერთი-ორი გროში დაგვრჩეს და შვილებს გავუგზავნოთო.

როცა, 1905 წელს მოჩვენებათ აფეთქდა რევოლიუცია, და შემდეგ კონტრ-რევოლიუციამ ჩააქრო, მოვიგონოთ რამდენი ახალგაზდა თავადაზნაური, კაცი და ქალი, როგორც გლეხები, იმსხვერპლა იმ საშინელმა დრომ? რამთენი ოჯახი ატირდა?! რუსეთში, საზღვარ-გარეთ, ციმბირში, დაჰფანტეს ჩვენი ახალგაზდობა წასვლას, ზისვლა-მოსვლას, ავადმყოფობას (სოჰლექე), ციხეებში და უცხოეთში ყოფნას—მუდამ ხარჯი უნდოდა ჩვენი ნაკლებული საზოგადოებას ფული ვერავის ეყო.

კიდევ დააწვა გაბერტყულ ოჯახებს ახალი დარდი, ზრუნვა.

მიყიდ-მოყიდეს მამულები—შვილებს ვუშველოთ, ჯუკუნდაუკან წავიდა საქართველოს ოჯახები.

უბედურება არ თავდება რუსეთში.

ჯერ იაპონიის ომმა, შემდეგ დღევანდელმა—ბევრი ჩვენი ყმაწვილკაცი ინაცვალა, ახალათ ატირდა ოჯახები.

თავის დროზე ისტორია შენიშნავს იმ პატიოსან როლს, რომელიც მიიღო თავად-აზნაურთ საზოგადოებამ ბრძოლაში როგორც ძველ რეჟიმთან, აგრეთვე ომში; ორივეს მიზანი ხომ იყო, და არის თავისუფლება. მაშასადამე ამათაც უნდა ჰქონდეთ ხმა, ის ხმა, რომ ამათაც ჰქონდეთ მიწა და თავიანთი ნაშრომი ლუკმა-პური. რაც დღლებზეა ლაპარაკი ამ ჟამათ—ეს არის ძალადობა, წართმევა და არა მიწის საკითხის გარჩევა.

მიწის საკითხის გარჩევა იქნება შემოდგომაზე, ჩვენს ავტონომიურ საქართველოში, რომელშიაც, იმედი მაქვს, უნდა სუყველა ადამიანს მიეცეს სიცოცხლის შეძლება.

**დ. ვედრებახელი.**

## წერილი თელავიდან

**შემ.-გამ. ამხანაგობის კრება.**
**მკათათვის 9-ს.**

თელავის შემ.-გამ. ამხანაგობის წლიური კრება მოხდა მკათათვის 9. მაგრამ ისევ დაიხურა და გადაიდო 16 მკათათვისთვის, შემდეგის მიზეზით: ვიდრე ეს კრება მოხდებოდა, ორი კვირის წინათვე, დაჰყოეს ხმები მთელ ქალაქში დითქმის როგორც გავიგეთ აგიტაციასაც-კი უწევდნენ სოფლებში გლეხობას, კრებაზე დ. ლუკაშვილი აღარ მოითხოვოთ თავმჯდომარეთ გ. ბურჯულაძის მაგიერო, იმისთვის, რომ თითქოს ლუკაშვილი ერთ დღეს სამ პარტიაში ჩაწერილიყოს წევრად. ყველა ეს რამდენად მართალია არ ვიცი, მხოლოდ ეს-კი ნამდვილია, რომ გლეხებში დიდი ნდობა აქვს მოპოებული დ. ლუკაშვილს და ძალიანაც უყვართ, ვისაც კიდევ ჩვენი გლეხობა შეიყვარებს და ენდობა, იმათ ვერავითარი ლაპარაკით ვერ დაარწმუნებ, რომ სანდო არ არის ის ვისაც ენდობა, ვიდრე თავის თვალით არ დარწმუნდება კაცის სიყალბე-ორპირობაში. შეიძლება ლუკაშვილი მართლა ძალიან სანდო სასარგებლო კაციც იყოს გლეხებისთვის, მაგრამ ეს-კი მეტის-მეტია მათ მხრივ რომ, არავის ხმას აღარ აღებინებენ ლუკაშვილზე თავიანთ ამხანაგ წევრებს და არც იმას კითხულობენ თუ რა მოიგო, ან რა იზარალა მათ ამხანაგობამ და მხოლოდ იმას გაიძახიან, რომ ოღონდ ლუკაშვილი იყოს თავმჯდომარედ და ჩვენ ანგარიშს არა ვთხოულობთო. ამას გაიძახოდნენ შარშანდელ კრებაზე და წელსაც მკათათვის 9 სადაც გამოუცხადა კრებას თავმჯდომარე დ. ქადაგიძემ, რომ, წლიური ანგარიში უნდა ვიანგარიშოთ და შემდეგ ახალი გამგეობა ავირჩიოთ, ნაცვლად ძველებისა, რომელთაც ეხლა შეუსრულდათ ყადლიო. გლეხებმა ის განიმეორეს—„თქვენ ანგარიშს საღამომდინ ჩვენ არ მოუცდი, გამგეობაც არ გვაინტერესებს ვინც გინდათ აირჩიეთო, მხოლოდ ეხლავე ჯერ ლუკაშვილი ამოარჩიეთ თავმჯდომარეთო“—აქ გამოჩნდნენ დ. ლუკაშვილის მოწინააღმდეგენი, ყველაზე მეტად და უშლიდნენ ხალხს ლუკაშვილის არჩევას, ამაზე ასტყდა ერთი საშინელი აურ-ზაური ჩხუბი და მუქარა მუშტის მოღერება. თავმჯდომარე ბევრს ეცადა ხალხის გაჩუმებას მაგრამ ვერ შესძლო, ბოლოს იძულებული გახდა კრება დაეხურა და მკათათვის 16-ის გადაედო მაგრამ ხალხი მაინც განაგრძნობდნენ ჩხუბს აურ-ზაურს, მაშინ ს. მაჭავარიანმა (სოც.-დემოკ. ორატორი, და ალმ. კომ. წევრია) არა სასიამოვნო ამბავის თავიდან ასაცილებლად, ტელეფონით ჯარს გამოუძახა და როცა ჯარი ამოვიდა მხოლოდ მაშინ-ღა დაიწყო ხალხმა დაშლა, მაგრამ მაინც ხშირ ბინდამდე გარეთ ქუჩებში გროვდებოდა ხალხი და ერთმანეთს ეკამათებოდნენ ლუკაშვილის მომხრე-მოწინააღმდეგენი.

**ნ. შუამთელი.**

## კორესპონდენცია

### სოფლის ვითარება

**სოხუმი.** არც ერთხელ არა ყოფილა ფულებისა და ვაჭრობა-აღებმიცემობის ვაცხანალია იმ ზომამდის არეული, რასაც დღესა ვხედავთ სოხუმის ოლქში. მუშა ხელი თამბაქოს პლანტაციებზედ მომუშავე 20—25 მანეთამდის აღწევს დღეს. თამბაქოს უჭირავს დღეს სოხუმის ოლქის დიდი ნაწილი, მან დაჩაგრა და მოსპო ყოველივე სხვა ნათესი. უშველებელი სახნავი ადგილები თამბაქოს უჭირავს. თუმცა ადგილობრივმა კომიტეტებმა თავდაპირველადვე მიიღეს ზომები, რომ პირნახულიც დაეთესნა ხალხსა, ამისთვის უშველებელი პლაკატებიც გამოსცეს და ყველა სოფელში სკოლებსა, სასოფლო კანცელარიებსა და სხვა გამოჩენილს ადგილებში გააკვრევინა, გარდა ამისა იძულებული გახადა ყველა მეთამბაქოე, რომ რამდენს დღიურსაც თამბაქოს დასთესავდა იმდენივე უნდა დაეთესნა სიმინდი ან ღომი. მცხოვრებლებმა ნაბძანები აასრულეს, დასთესეს სიმინდიც იმდენივე, რამდენიც თამბაქო, მაგრამ ამითი საქმეს არა ეშველა რა. დღეს ეს დათესილი სიმინდი უპატრონოთა და შეუმუშავებლადა ჰყრია, რადგანაც შეუძლებელი გახდა სიმინდის დამუშავება დღევანდელს პირობებში, როდესაც მუშა ხელის ფასმა ოცს მანეთს გადააჭარბა. ამ ფასებში რომ დაიმუშაონ სიმინდის ნათესები, მაშინ ფუთი სიმინდი არა ნაკლებ 25 მანეთისა დაჯდება და ამიტომ მისი დამუშავება მოსახერხებლად ვერა სცნეს. საბრალო სიმინდის ნათესები დღეს ბალახებში ჩაფლულნი და გაყვითლებულნი საცოდავად გამოიცქირებიან. ასეა საქმე სოხუმის ოლქში და ასეთს გარემოებას რომ საშინელი სიმშილი მოჰყვება, ეს ყოველს ეჭვს გარეშეა. დღესვე სიმინდის ფასმა საშინლად აიწია, გუდაუთში და სხვაგანაც ზევრგან 15 მანეთად იყიდება ფუთი სიმინდი.

**ზ. ედილი.**

### საკოოპერაციო მოძრაობა სოფლად

**სოფ. ბერეთისა** (შორაპნის მაზრა). აგერ ორი წელიწადი სრულდება რაც ამ სოფელმა კოოპერატივის გახსნის ნებართვა მიიღო. ამ ხნის განმავლობაში რამდენჯერმე აირჩიეს გამგეობა, მაგრამ პირადი ინტერესებით გამოწვეულმა კინკლაობამ და შენ-ჩემიანობამ ხალხი ორ ბანაკად გაჰყო; ამ გაყოფამ ძლიერ ავნო სოფელს და ვერავითარმა კულტურულმა საქმემ ფეხი ვერ მოიკიდა; ეს კი იმის წყალობით ხდება რომ სოფელს არა ჰყავს გულშემატკივარი ინტელიგენცია. სოფელში არსებობს რამდენიმე დუქანი და მოვაჭრეების თავგასულობას საზღვარი არა აქვს. მკათათვის 6-ს, ამ სოფელს ეწვივნენ ჭიათურის რაიონის საბჭოს წევრები; ვასილ კაპანაძე და ვანო ლაბაძე; ხსენებული პირების მოსვლის მიზანი შეთანხმების ჩამოგდება იყო კოოპერატივის საქმეებში და საქმის მოწესრიგება. ცდამ უნაყოფოდ არ ჩაიარა და როდესაც განუმარტეს კრებაზე ხალხს შეთანხმებული მუშაობის აუცილებლობა კოოპერატივის საკეთილდღეოდ, კრებამ სურვილი გამოსთქვა აერჩიათ შეთანხმებით ახალი პირები გამგეობაში და სიტყვა საქმედ ექციათ; ასეთი შეთანხმებული მოქმედება კრებისა ისტორიულ დღედ უნდა ჩაითვალოს ჩვენი სოფლის ცხოვრებაში. აირჩიეს გამგეობა.

**ზ. ტ.**

## თელავის ამბების გამო

**წერილი რედაქციის მიმართ**

ცხრა მკათათვეს ქ. თელავში დანიშნული იყო ადგილობრივ შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობის წევრთა წლიური კრება. კრებას სამას წევრამდე დაესწრო. თავმჯდომარედ რამოდენიმე პირთაგან დასახელებული იყო დავით ქადაგიძე, რომელმაც კენჭი იყარა, მაგრამ დიდმა უმრავლესობამ იგი გააშავა. თავმჯდომარედ ერთხმად გავიდნენ გიორ. იორდანაშვილი და ს. წერეთელი, მდივნებად შ. საყვარელიძე და გოგნიაშვილი. კრებამ მოისურვა დღიური წესრიგის შეცვლა, მაგრამ ამის წინააღმდეგი გახდნენ სხვათა შორის სოსო მაჭავარიანი და ორიოდე სხვა პირი, კრება კი დაჟინებით წესრიგის შეცვლას მოითხოვდა და ვინაიდან სოსო მაჭავარიანი მუშათა საბჭოს თავმჯდომარეა, მან და მისმა დამქაშებმა მიმმართეს ძალას და უიარაღო, თავის კერძო საქმისთვის შეკრებილ ხალხის წინააღმდეგ ჯარიც კი გამოიწვიეს. ხალხი მაინც არ შედრკა და თავისას დაჟინებით მოითხოვდა, მაგრამ დაინტერესებულმა პირებმა კრება დახურულად გამოაცხადეს. დ. ქადაგიძე იმდენად გათამამდა, რომ ერთი იქ დამსწრე მუშას ძველებურად ხელიც კი ჰკრა. კრებაზე მოსულნი იყვნენ თითქმის მარტო გლეხ-კაცობა და ხელოსნები, რომელნიც არ გაჰყვნენ სოსო მაჭავარიანს და დ. ქადაგიძეს, ვინაიდგან ეს უკანასკნელნი მოქმედობდნენ პირადი ანგარიშებით. საქმე იმაშია რომ კრებას ჰ ურდა გამგეობაში ავერჩიე მე, რაიც დ. ქადაგიძეს და ს. მაჭავარიანს არ ჰნებავდათ და ამიტომ ჩემს წინააღმდეგ უნდა წაეყვანათ კრება, მაგრამ მათ ეშმაკობას ბრმად არ გაჰყვა მშრომელი ხალხი და ეს ვაჟბატონები გარიყულები დარჩნენ. კრების გასაგრძელებლად თითონ შეკრებილმა ხალხმა დანიშნა 16 მკათათვე, მაგრამ ამ კრების ჩაშლაზედაც შეუდგნენ ზრუნვას ს. მაჭავარიანი და დ. ქადაგიძე. ამათივე მეცადინეობით მე, აღმასრულებელმა კომიტეტმა და საბჭომ წინადადება მომცეს 24 საათში ქ. თელავი და მისი მაზრა დამეტოვებინა. ამით მომისპეს მე საშვალება ვემსახურო კვალად იმ გაჭირვებულ ხალხს, რომელიც უსაზღვროდ მიყვარს და რომელმაც ასე თავგამოდებით დამიჭირა მხარი 9 მკათათვეს.

**დ. ლუკაშვილი**

## წერილი რედ. მიმართ

**ლეკების თავდასხმის გამო.**

მოქალაქე რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენ პატივცემულ გაზ. „საქართველოში“ შემდეგ ცნობას:

ამას წინათ საგუიდან წერილით მაცნობეს, რომ, ვითომც 80—100 ლეკი, ქართველ მწყემსებს დასცემოდნენ და 1500 ცხვარი გაეტაცნოთ, რომელიც დევნით შეგატყობინეთ და დაიბეჭდა კიდეც, ეხლა როგორც გამოირკვა, გაზვიადებული გამოდგა ყველა ეს, მართალია ყოფილა დაცემა რამდენიმე ყაჩაღი ლეკისა, მაგრამ მათ გაუტაცნიათ რამდენიმე ცხენი და არა ცხვარი.

როგორც მე აგრეთვე თელავის აღმასრულებელი კომიტეტიც, ამ გვარ შეცდომაში შეუყვანიათ, როგორც გავიგე, ვიღაც პროვოკატორ-ნაძირალებს, რის გამოც კაი ძალი მილიცია გაგზავნა კომიტეტმა თელავიდან სულ უბრალოთ.

**ნ. შუამთელი.**

მიიღება ხელის მოწერა ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო ქუთაისის გაზეთზე

1917 წ. **ჩვენი ქვეყანა** 1917 წ.

გაზეთის ფასი: წლიურათ 15 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 1 მან. და 50 კაპ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათაც გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 5, სამი თვის შემდეგ კიდევ 5 მანეთი და დანარჩენიც სექტემბრის დამლევამდი.

რედაქციის მისამართია: ქუთაისი, თბილისის ქ. სოფ. მიქელაძის სახ., კანტორა ღიაა: დილით 9—2 საათ. და საღამ. 5—8-მდი.

რედაქტორი დ. კვირკველია.

ექიმი
**ა. დ. კეკელია**
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოობით 6-დან 8-მდე. კანის, ვენერიულს და ათაშანგით (სიფილისი) (606-ს და 914-ს შეშხაპუნება) ავადმყოფებს. მიხეილის პროსპექტი № 116.
(თ—703—4)

ექიმი
**მ. ფ. მგალობლიშვილი**
ქალებისა და საქირურგიო სნეულებით ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე.
მისამართი: ოლღას ქუჩა № 41, ზემო სართული, ტელ. 9—58.

ექიმი
**მ. გ. ვეფხვაძე**
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი, იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიევსკის ქუჩა, № 19.

ექიმ-ქალი
**მ. მ. მუსხაძე**
იღებს ხალხის ავადმყოფებს საღამოს 5-6 ს.-მდე, კვირა დღეს გარდა.
მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ; სახლი სვანიძისა. ტელეფონი № 5—77.

ექიმი
**მ. დ. წინამძღვრიშვილი**
ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის თერაპევტიული კლინიკებისა. შინაგანი სნეულებანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულ. სპეციალურად იღებს საღ. 5—7 საათამდე ყოველდღე გარდა ხუთშაბათისა.
მიხეილის პროს. № 86, მეორე სართული.

ექიმი ქალისა
**ე. ივ. გალაკიშვილი-მათეშვილისა**
იღებს ავადმყოფებს:
დილით 9—2 საათ. საღ. 5—7 საათ.
ნიკოლაძის და ...ის ქუჩის კუთხე № 20.

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანტონის ძე
**ქალანდარიშვილი**
უმცროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებათ ავადმყოფებს იღებს
**მანგლისში**
საკადეტო კორპუსის ბინაში

ექიმი
**მ. ი. მარნაძე**
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს ყოველ დღე, კვირა-უქმის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ...ის ქ. № 4. (თ.—202—)

ექიმი
**ე. ლ. შალამბერიძე**
იღებს საზებით და საშვილოსნოს ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე.
მისამართი: პეტროგრადის ქუჩა № 7.

**ახალი საკრებულო**
საზაფხულო სადგომი. მიხეილის ქუჩა № 131.
(ყოფილი ხარფუხის კლუბი)
მამასახლისთა საბჭო აუწყებს თავის წევრთ, რომ **სამშაბათს 18 ივლისს** საღამოს 7 საათზედ დანიშნულია წევრთა
**არაჩვეულებრივი კრება**
განსახილველი საგნები:
1) ლოტოს აკრძალვა.
2) კლუბის დაკეტვა 1 საათზედ.
3) წევრთა და კანდიდატთა არჩევნები და სხ.
1—702—1

**საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის პირველი უბნის კომიტეტი**
გადავიდა ახალ ბინაზე, ფრეილინის ქუჩა № 12. ქართულ სათავად-აზნაურო ბანკის 3 რდაპირ. ღიაა ყოველ დღე დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 1 საათამდინ და საღამოს 7—9 საათამდინ, ვსთხოვთ წევრებს და თანამგრძნობელთ ამ დროს განმავლობაში მობრძანდნენ ხოლმე ცნობების მისაღებად. წევრებათ ჩასაწერად და ყოველ თვიური გადასახადის და შეწირულობის შემოსატანად.
10—755—9

**საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მე-8 და მე-9 უბნის კომიტეტი**
ამით აცხადებს, რომ **ხუთშაბათს,** მკათათვის 20-ს, **საღამოს 7 საათზე,** მესამე მომრიგებელ მოსამართლის შენობაში (ტურგენევის ქუჩა № 5)
**დანიშნულია**
პარტიის წევრთა და თანამოაზრეთა
**საერთო კრება**
განსახილველი საკითხები:
1) თბილისის საქალაქო არჩევნები,
2) საპროგრამო საკითხები და სხვა.
2—767—2

**საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მე-8 და მე-9 უბნის კომიტეტი**
ამით აცხადებს უბანში მცხოვრებ თანამგრძნობთა საყურადღებოთ, რომ პარტიის წევრათ ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე დილის 8—2 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე მესამე მომრიგებულ მოსამართლის ბინაზე (ტურგენევის ქუჩა, სახლი № 4) კომიტეტის მდივან **ვ. ყიფიანთან.**
751

**საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის X და XII უბნის კომიტეტი**
ამით აცხადებს უბანში მცხოვრებ თანამგრძნობთა საყურადღებოდ, რომ პარტიის წევრად ჩაწერა შეიძლება ყოველ-დღე საღამოს 6—11 საათამდე ახალ საკრებულოს (ხარფუხის კლუბი) ბინაზე კომიტეტის დროებით თავმჯდომარე დ. დუმბაძესთან და კლუბის ბუფეტჩიკ კალატოზიშვილთან.
10—742—9

მაისის 7-დან გამოდის ქართველ სამხედრო პირების თანამშრომლობით გაზეთი
**„ჯარის კაცი“**
გაზეთი წლის დამლევამდე ეღირება 4 მან. 50 კაპ. ცალკე ნომერი 5 კაპ. წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: г. Тифлисъ. Редакція газ. „Джарисъ Каци“. Почтовый ящикъ № 190
რედაქცია და კანტორა მოთავსებულია სასახლის ქუჩაზე № 5 და ღია არის დილის 10—2 ს. და საღამოს 7—8 ს.
10—740—8 რედაქტორ-გამომცემელი კ. ცქიტიშვილი.

**კომიტეტი ქართველთა სამხედრო კავშირისა**
მოუწოდებს ყველა ქართველ მეომარს (ჯარის-კაცებს, ოფიცრებს, სამხ. ექიმებს და მოხელეებს) ჩაეწერნენ აღნიშნულ კავშირში, რომლის მიზანია რუსეთის რევოლიუციის ხელის შეწყობა და საქართველოს ავტონომია. კომიტეტის ბინა მოთავსებულია ახალ კლუბის შენობაში (სასახლის ქუჩა). ცნობების მიღება შეიძლება „ჯარის კაცის“ რედაქციაში დილის 10—2 საათამდე და საღამოს 7—8-დე.
10—740—8 კომიტეტი ქ. ს. კ.

**საავადმყოფო**
სამხედრო ექიმ სპეციალისტებისა მოხალისე ავადმყოფებისათვის:
დიდი ვანქის ქუჩა № 3. ალექსანდროვის ბაღის ახლო, ტელეფონი 431.
ავადმყოფების მიღება: დილის 10 საათიდან 5 საათამდე.
ზელანდე—ბავშვთა შინაგან ავადმყოფობისა. ღებულობს 10—12 ს. ყოველდღე.
ვეინაცი—თვალის ავად. 2—3 საათ. ორშაბათობით და ოთხშაბათობით.
ახპიხოვი—ყურის, ყელის და ცხვირ. 1—2 საათ. ორშაბათ. და ოთხშაბათ.
ფირადოვი—ქირურგ. ავად. 12—1 საათამდე.
მონხე—ბავშვთა შინაგან ავად. 1—3 საათამდე ყოველ დღე.
ჩუდნოვსკი—შინაგან და ნერვიულ ავად. 12—1 საათ. სამშაბ. და კვირაობით.
ბეგზადოვი—ქალთა და საზებით ყოველ-დღე 2—3 საათამდე.
თოხლიანი—ქალთა და საზებით ავად. ღებულობს ორშ., ოთხშ. და პარ. 11—12 ს.
ნარიმანოვი—ვენერიული ავად. ყოველ-დღე 10—11 საათამდე.
დეკანოზოვი—ქალთა ავად. სამშაფათ. ხუთშაბ. და შაბათობით 12—1 საათ.
ტროიცკაია—ქალთა და ქირურგ. ავად. ყოველდღე ქირურგ. 2—3 საათამდე. ქალთა ავადმყოფ. 3—4 საათამდე.
ბაგდოევისა—კბილის ექიმი ყოველ-დღე 3—5 საათამდე
ალიხანოვისა—კბილის ექიმი ყოველ-დღე 10—12 საათამდე.
100—667—34

**თევზის მრეწველნი**
**ძმ. მესხელიშვილები**
პუშკინის ქუჩა, ხაჟუთარია სახ., № 2, ტელეფონი № 112.
ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და საგამგეო სახლ. „...“, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის მარილიანი, ცივი და ოიტიანი, ... „...“ ხიზილალა. მივიღეთ საუკეთესო ხალიანის წარმოება მდიდარ გემის ცოცხალი თევზი. აგრეთვე ახალ-ახალი მწვავეების ზუთხი, თართი, ... და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველნაირი კონსერვები და ხაიკინდაში რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმების ხასრულიან ინახება. (წ.)